ხელშეკრულება ძალაში შევიდა: 03 მარტს, 2022

საგადახდო მომსახურების გენერალური ხელშეკრულება ფიზიკური პირებისთვის

1. ზოგადი დებულებები

1.1 წინამდებარე ხელშეკრულება ფორმდება Paysera-სა და მის კლიენტს შორის.

1.2. ხელშეკრულების საგანი: წინამდებარე ხელშეკრულება განსაზღვრავს კლიენტსა და Paysera-ს შორის არსებული/დასამყარებელი ურთიერთობების ძირითად პირობებს, მათ შორის, სისტემაში კლიენტის რეგისტრაციის, ანგარიშის გახსნისა და Paysera-ს სხვა მომსახურებებით სარგებლობის წესებსა და პირობებს. Paysera-ს ცალკეული მომსახურების პირობები გაწერილია ამ ხელშეკრულების დანართებით, სხვა შეთანხმებებითა და წესებით, რომლებიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია. აღნიშნული პირობების მოქმედება ვრცელდება კლიენტზე, მას შემდეგ რაც ის გაეცნობა და დაიწყებს შესაბამისი მომსახურებით სარგებლობას. წინამდებარე ხელშეკრულებასთან ერთად, Paysera-სა და კლიენტს შორის არსებული ურთიერთობა, რომელიც დაკავშირებულია მომსახურების გაწევასთან, ასევე რეგულირდება კლიენტის მიმართ მოქმედი სამართლებრივი აქტებით, კლიენტთან დადებული ხელშეკრულებებით, სხვა შეთანხმებებით, გონივრულობის, კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის წესებითა და პრინციპებით.

1.3. წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომელსაც კლიენტი დაკვირვებით უნდა გაეცნოს, სანამ გადაწყვეტს სისტემაში დარეგისტრირებას, Paysera-ს ანგარიშის გახსნასა და მისი სხვა მომსახურებებით სარგებლობას. გთხოვთ, დათანხმებამდე ყურადღებით გაეცნოთ წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს. აღნიშნული ხელშეკრულება, მის დანართებთან ერთად, განსაზღვრავს სისტემის გამოყენებისას მოსალოდნელ კონკრეტულ რისკებს და იძლევა მითითებებს სისტემის უსაფრთხო გამოყენებასთან დაკავშირებით.

1.4. წინამდებარე ხელშეკრულების დანართები წარმოადგენენ შეთანხმებებს, რომლის მიხედვითაც კლიენტი და Paysera თანხმდებიან დანართებში მითითებული შესაბამისი მომსახურებით სარგებლობაზე. დანართებში მითითებული პირობები არის სპეციალური დებულებები, რომლებიც უპირატესია ხელშეკრულების სხვა დებულებებთან მიმართებით. როდესაც კლიენტი იწყებს ისეთი მომსახურებით სარგებლობას, რომლითაც მანამდე არ უსარგებლია, მის მიმართ დამატებით გამოიყენება ხელშეკრულების შესაბამისი დანართები. თუ ახალი მომსახურებით სარგებლობისთვის საჭიროა დამატებითი პროცედურის ჩატარება ან/და კლიენტის დამატებითი დოკუმენტების წარდგენა, კლიენტი ახალი მომსახურებით სარგებლობას შეძლებს მხოლოდ Paysera-ს მიერ მითითებული ყველა ნაბიჯის დასრულების შემდეგ.

1.5 წინამდებარე შეთანხმების დებულებები, რომლებიც განკუთვნილია მხოლოდ მომხმარებლებისთვის, არ ვრცელდება კლიენტებზე, რომლებიც არ არიან მომხმარებლები და რომლებიც მოქმედებენ აღნიშნული ხელშეკრულების ან/და მისი დანართების მიხედვით მათ ბიზნესთან, სავაჭრო ან პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მიზნებისთვის.

1.6. ხელშეკრულებაში გამოყენებული ძირითადი ცნებები:

პერსონალური მონაცემები - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება ფიზიკურ (კერძო) პირს, რომლის ვინაობა იდენტიფიცირებულია ან იდენტიფიცირებადია პირდაპირ ან არაპირდაპირ, ისეთი მონაცემების გამოყენებით, როგორიცაა: საიდენტიფიკაციო ნომერი და პირის მახასიათებელი ერთი ან მეტი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშანი.

სამუშაო დღე- დღე, რომელიც Paysera-ს მიერ განსაზღვრულია, როგორც Paysera-ს მომსახურებების მიწოდების დღე. Paysera-ს შეუძლია სხვადასხვა მომსახურებისთვის სხვადასხვაგვარად განსაზღვროს სამუშაო დღეები და აღნიშნულის შესახებ მიუთითოს მომსახურებების ტარიფებთან ერთად.

ელექტრონული ფული- Paysera ანგარიშზე კლიენტის მიერ შეტანილი ან გადარიცხული და მასში შენახული ფულადი სახსრები, რომელიც გამოიყენება სისტემის მეშვეობით გადახდის ოპერაციების შესრულებისას.

Paysera - Paysera ჯგუფში შემავალი კომპანიები, კლიენტის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, და სხვა იურიდიული პირები, რომლებიც შესაძლოა, დაქირავებულ იყვნენ მომსახურების გაწევის მიზნით. ყველა საგადახდო მომსახურება გაიწევა მხოლოდ ლიცენზირებული კომპანიების მიერ. სისტემაში კლიენტის პირველადი პროფილი იხსნება Paysera LTD-ს მიერ, ხოლო კლიენტის სათანადო იდენტიფიკაცია და

მისთვის IBAN-ის ანგარიშის გახსნა ხორციელდება Paysera ჯგუფში შემავალი იმ კომპანიის მიერ, რომელსაც აქვს აღნიშნული საქმიანობის განხორციელების ლიცენზია. Paysera ჯგუფის კომპანიების იურიდიული დეტალები მოცემულია ხელშეკრულების ბოლოს.

მიმღები- იურიდიული ან ფიზიკური პირი, სხვა ორგანიზაცია ან მათი ფილიალი, რომელიც მითითებულია საგადახდო დავალებაში, როგორც თანხის მიმღები.

ამონაწერი- Paysera-ს მიერ მომზადებული და მოწოდებული დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას გარკვეული პერიოდის განმავლობაში ანგარიშზე განხორციელებული გადახდის ოპერაციების შესახებ.

ტარიფები--ტარიფები Paysera-ს მიერ გაწეული მომსახურებისა და შესრულებული ოპერაციებისთვის Paysera-ს მიერ დადგენილი ტარიფები (საკომისიოები).

კლიენტი- ფიზიკური პირი, რომელიც დარეგისტრირდა სისტემაში და შექმნა პროფილი.

კლიენტის იდენტიფიკაცია- კლიენტის ვინაობის დადასტურება სისტემაში გათვალისწინებული პროცედურის მიხედვით.

საკომისიო- Paysera-ს მიერ გადახდის ოპერაციისთვის და/ან მასთან დაკავშირებული მომსახურებებისთვის დაწესებული მომსახურების საფასური.

გადარიცხვა- გადახდის ოპერაცია, რომლის დროსაც თანხები გადამხდელის ინიციატივით ირიცხება მიმღების საგადახდო ანგარიშზე.

საგადახდო დავალება- გადამხდელის ან მიმღების მიერ საგადახდო მომსახურების პროვაიდერისათვის მიცემული დავალება გადახდის ოპერაციის განხორციელების თაობაზე.

გადახდის ოპერაცია - გადამხდელის ან მიმღების მიერ ინიციირებული ფულადი სახსრების გადარიცხვისა ან თანხის შეტანა/განაღდების ოპერაცია.

საგადახდო მომსახურება- მომსახურებები, რომელთა მიწოდების დროსაც იქმნება საგადახდო ანგარიშზე ნაღდი ფულის ჩარიცხვისა და გატანის, აგრეთვე საგადახდო ანგარიშის მართვასთან დაკავშირებული ყველა ოპერაციის პირობები; გადახდის ოპერაციის პირობები, მათ შორის, თანხის გადარიცხვა საგადახდო მომსახურების მომხმარებლის (User) მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან (ფინანსურ ინსტიტუტთან) გახსნილ საგადახდო ანგარიშზე ან სხვა ფინანსურ ინსტიტუტთან გახსნილ საგადახდო ანგარიშზე; ადახდის ოპერაციები, რომლის დროსაც მომხმარებელს თანხა ეძლევა საკრედიტო ხაზით: საგადახდო ბარათით ან მსგავსი საგადახდო ინსტრუმენტით განხორციელებული გადახდის ოპერაცია ან/და საკრედიტო გადარიცხვები, პერიოდული გადარიცხვების ჩათვლით; საგადახდო ინსტრუმენტების გაცემა ან/და მიღება; ფულადი გზავნილები; გადახდის ინიციირების მომსახურება; ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის მომსახურება.

საგადახდო ინსტრუმენტი- ნებისმიერი საგადახდო ინსტრუმენტი, რომელსაც სისტემა საშუალებას აძლევს დაუკავშირდეს Paysera-ს ანგარიშს და გამოიყენოს იგი გადარიცხვების შესასრულებლად.

გადამხდელი- ფიზიკური ან იურიდიული პირი, ან სხვა ორგანიზაცია ან მისი ფილიალი, რომელსაც აქვს საგადახდო ანგარიში და ადასტურებს აღნიშნული ანგარიშიდან საგადახდო დავალების შესრულებას ან, საგადახდო ანგარიშის არარსებობის შემთხვევაში, წარადგენს საგადახდო დავალებას.

Paysera ანგარიშან **ანგარიში** - სისტემაში კლიენტის სახელით გახსნილი ანგარიში, რომელიც გამოიყენება ანგარიმსწორებისთვის და სხვა გადახდის ოპერაციებისთვის. ანგარიში იხსნება მხოლოდ კლიენტის იდენტიფიკაციის შემდეგ.

მომსახურება- ელექტრონული ფულის გამოშვებისა და გამოსყიდვის სერვისი, რომელსაც ახორციელებს Paysera, გადახდის სერვისი, რომელსაც უზრუნველყოფს Paysera და ნებისმიერი სხვა სერვისი, რომელსაც უზრუნველყოფს Paysera.

Paysera-ს აპლიკაცია- მობილური აპლიკაცია Paysera ანგარიშის მართვისთვის, ჩაწერილია და გამოიყენება მობილურ მოწყობილობაში.

პროფილი-კომპიუტერულ სისტემაში რეგისტრაციის შედეგი, რომლის დროსაც ინახება რეგისტრირებული კლიენტის მონაცემები, იქმნება ავტორიზაციის სახელი და განისაზღვრება მომხმარებლის უფლებები სისტემაში.

დაშვებული ენა- სისტემაში ხელმისაწვდომი ნებისმიერი ენა.

დანართი - Paysera-სა და კლიენტს შორის Paysera-ს მიერ მოწოდებული ცალკეული მომსახურების გაწევასა და გამოყენების შესახებ შეთანხმება. დანართი შეიძლება შედგენილ იქნეს შეთანხმების, წესების, დეკლარაციის, გეგმის ან სხვა ფორმით. დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილს.

კლიენტის ძლიერი ავთენტიფიკაცია- ფიზიკური ან იურიდიული პირის ვინაობის დადასტურების პროცედურა, რომელიც ეფუძნება ორი ან ორზე მეტი შემდეგი განსხვავებული კატეგორიის ელემენტის გამოყენებას: ცოდნა (მაგ., სტატიკური პაროლი, კოდი, პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი), ფლობა (მაგ. ტოკენი, სმარტ ბარათი, მობილური ტელეფონი) და უნიკალურობა (მაგ. ბიომეტრიული მახასიათებლები, როგორიცაა თითის ანაბეჭდი). აღნიშნული პროცედურა გამოიყენება, როდესაც კლიენტი (გადამხდელი) შშედის თავის საგადახდო ანგარიშზე ინტერნეტით ან დისტანციური წვდომის სხვა მეთოდით; აინიციირებს ელექტრონული გადახდის ოპერაციას და დისტანციური კომუნიკაციის არხების საშუალებით ახორციელებს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც თაღლითობის ან/და სხვა უკანონო ქმედების რისკის მატარებელია.

სისტემა - Paysera-ს მიერ შემუშავებული პროგრამული გადაწყვეტა, რომელიც განთავსებულია Paysera-ს ვებ გვერდებზე და გამოიყენება Paysera-ს მომსახურების უზრუნველსაყოფად.

ხელშეკრულება- ხელშეკრულება კლიენტსა და Paysera-ს შორის, რომელიც მოიცავს წინამდებარე ფიზიკური პირებისთვის საგადახდო მომსახურების გენერალურ ხელშეკრულებას, ნებისმიერ სხვა პირობებსა და დოკუმენტებს (დანართები, შეთანხმებები, წესები, დეკლარაციები და ა.შ.), მათ შორის, მაგრამ არ მხოლოდ, ინფორმაციას, რომელიც განთავსებულია წინამდებარე ფიზიკური პირებისთვის საგადახდო მომსახურების გენერალურ ხელშეკრულებაში მითითებულ ვებსაიტებზე.

თანხმობა – გადამხდელის თანხმობა გადახდის ოპერაციის შესრულებაზე, რომელიც წარმოდგენილია ხელშეკრულების მე-8 მუხლით დადგენილი წესით.

პაროლი (პაროლები) - სისტემაში კლიენტის მიერ შექმნილი ნებისმიერი კოდი, სისტემაში შექმნილი კოდი, რომელიც გამოიყენება კლიენტის ძლიერი ავთენტიფიკაციისთვის, ან კოდი, რომელიც მიეწოდება კლიენტს პროფილზე და/ან Paysera ანგარიშზე წვდომისთვის, ცალკეული მომსახურების ინიცირებისთვის, დადასტურებისა და მართვის და/ან გადახდის ოპერაციის ინიციირების, ავტორიზაციის, განხორციელების, დადასტურებისა და მიღებისთვის.

მხარე- Paysera ან კლიენტი.

უნიკალური იდენტიფიკატორი- ასოების, რიცხვების ან სიმბოლოების კომბინაცია, რომელსაც Paysera, როგორც საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, აწვდის საგადახდო მომსახურების მომხმარებელს (User) და რომელიც გამოიყენება გადახდის ოპერაციაში მონაწილე საგადახდო მომსახურების მომხმარებლის (User) და/ან მომხმარებლის (User) ანგარიშის ცალსახად ამოსაცნობად/დასადგენად.

მომხმარებელი- მკლიენტი, რომელიც მოქმედებს ხელშეკრულებით იმ მიზნებისთვის, რომლებიც არ არის დაკავშირებული ამ პირის ბიზნესთან, კომერციულ ან პროფესიულ საქმიანობასთან.

2. სისტემაში რეგისტრაცია და პროფილის შექმნა

2.1. Paysera-ს სერვისებით სარგებლობის დასაწყებად მომხმარებელი უნდა დარეგისტრირდეს სისტემაში. Paysera-ს უფლება აქვს დასაბუთების გარეშე უარი თქვას ახალი კლიენტის რეგისტრაციაზე. ამასთან, Paysera უზრუნველყოფს, რომ რეგისტრაციაზე უარი ყოველთვის ეფუძნებოდეს მნიშვნელოვან მიზეზებს, რომელთა გამჟღავნების ვალდებულება ან უფლება Paysera-ს არ აქვს.

2.2. სისტემაში რეგისტრაციისას კლიენტისთვის იქმნება პროფილი. პროფილი პირადია და მისი გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ მის მფლობელს, ე.ი. კლიენტს. მას შემდეგ, რაც კლიენტი დარეგისტრირდება სისტემაში და შეიქმნება პროფილი, მისთვის ავტომატურად იხსნება Paysera ანგარიში, რომელიც ანგარიში მოქმედებს წინამდებარე შეთანხმების მე-4 და მე-5 მუხლებით განსაზღვრული პროცედურის მიხედვით.

2.3. კლიენტს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი პროფილი.

2.4. ხელშეკრულება ძალაში შედის მას შემდეგ, რაც კლიენტი დარეგისტრირდება სისტემაში, გაეცნობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს და დათანხმდება მათ შესრულებაზე. ხელშკერულება მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

2.5. ადასტურებს, რომ კლიენტი ეთანხმება ხელშეკრულების პირობებს და იღებს ვალდებულებას შეასრულოს ისინი. Paysera მომსახურებას უწევს 7 (შვიდი) წლის ასაკს მიღწეულ პირებს. 7 (შვიდი) წლამდე პირებს ეკრძალებათ Paysera-ს მომსახურებით სარგებლობა. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს არ მიუღწევია 18 (თვრამეტი) წლისთვის, კლიენტმა უნდა წარმოადგინოს მისი კანონიერი წარმომადგენლის (მშობლები/ მზრუნველები) წერილობითი თანხმობა Paysera-ს მომსახურებით სარგებლობაზე. Paysera-ს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოითხოვოს კლიენტის კანონიერი წარმომადგენლების (მშობლები/მეურვეები/ მზრუნველები) ნოტარიუსის მიერ დამოწმებული წერილობითი თანხმობა. თუ კლიენტი ვერ წარადგენს წერილობით თანხმობას Paysera-ს მიერ მითითებულ ვადებში, Paysera-ს უფლება აქვს დაუყოვნებლივ მთლიანად ან ნაწილობრივ შეაჩეროს მომსახურების მიწოდება.

2.6. კლიენტი ადასტურებს, რომ სისტემაში რეგისტრაციისას, მან წარადგინა სწორი/უტყუარი მონაცემები და მათი შეცვლის ან დამატების აუცილებლობისას, კლიენტი წარადგენს მხოლოდ სწორ მონაცემებს. არასწორი მონაცემების წარდგენით გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე პასუხისმგებლობა ეკისრება კლიენტს.

2.7. იმისთვის, რომ Paysera-მ დაიწყოს ან გააგრძელოს მომსახურების მიწოდება, კლიენტმა უნდა დაადასტუროს საკუთარი პროფილი, დაადასტუროს ახალი მომსახურების ან მისი ნაწილის გაწევა, შეასრულოს კლიენტის იდენტიფიკაციის პროცედურა, კლიენტის იდენტიფიკაციის პროცედურა, ხელშეკრულებაში ან სისტემაში მოცემული შემთხვევებში და მოცემული პროცედურების შესაბამისად. პროფილის დადასტურება და ახალი მომსახურების მიწოდება, გამიზნულია კლიენტისა და Paysera-ს ინტერესების დასაცავად.

2.8. Paysera-ს უფლებამოსილია, მოითხოვოს ისეთი მონაცემები ან/და დოკუმენტები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი იქნება კლიენტის იდენტიფიკაცია ან/და კლიენტის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება, რაც აუცილებელია კლიენტისთვის Paysera-ს მომსახურების სათანადოდ გასაწევად. იდენტიფიკაციის ან სხვა ვერიფიკაციის პროცედურების შესრულების აუცილებლობის შესახებ კლიენტისთვის გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებული იქნება წარსადგენი კონკრეტული მონაცემები ან/და დოკუმენტები.

2.9. კლიენტის იდენტიფიკაციის განხორციელებისას, Paysera უფლებამოსილია, მოსთხოვოს კლიენტს დოკუმენტის დედნის ან/და მისი ასლის ან/და ნოტარიულად ან სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული ასლის წარდგენა.

2.10 კლიენტის იდენტიფიკაციის პირობები, ადგილები, პროცედურები და ტარიფები მითითებულია აქ.

2.11. ცალკეულ შემთხვევებში, კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულების ან დოკუმენტის ტიპიდან გამომდინარე (მაგ., წარმოდგენილი უნდა იყოს დოკუმენტის დედანი), Paysera-ს უფლება აქვს, მოსთხოვოს კლიენტს იდენტიფიკაციის პროცედურის შესრულება Paysera-ს მიერ მითითებული განსაზღვრული მეთოდის გამოყენებით (,აგ. კლიენტთა მომსახურების ფილიალში).

2.12. მხარეები თანხმდებიან, რომ კლიენტს შეუძლია დაადასტუროს (ხელი მოაწეროს) დოკუმენტები (ე.ი. ხელშეკრულებები, შეთანხმებები და ა.შ.) ელექტრონული საშუალებებით (მათ შორის და არა მხოლოდ, ეკრანზე სტილუსის კალმით).

2.13. Paysera უფლებამოსილია, მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია და/ან დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია კლიენტთან ან მის მიერ განხორციელებულ ტრანზაქციასთან/გადახდის ოპერაციასთან, ასევე უფლება აქვს შეაჩეროს კლიენტის გადახდის ოპერაციის განხორციელება შეჩერებულ ოპერაციასთან დაკავშირებულ დამატებით ინფორმაციის ან/და დოკუმენტების წარდგენამდე. Paysera, ასევე, უფლებამოსილია მოსთხოვოს კლიენტს შეავსოს და პერიოდულად განაახლოს კლიენტის პროფილი. თუ Paysera-ს მიერ განსაზღვრულ ვადაში კლიენტი არ წარადგენს მოთხოვნილ დამატებით ინფორმაციას ან/და დოკუმენტაციას, Paysera უფლებამოსილია სრულად ან ნაწილობრივ შეაჩეროს/შეწყვიტოს კლიენტისთვის მომსახურებების მიწოდება. Paysera უფლებამოსილია მოითხოვოს დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებული ასლების ან ერთ-ერთ მისაღებ ენაზე მათი თარგმნის წარმოდგენა. დოკუმენტის და ინფორმაციის მომზადება და წარდგენა ხორციელება კლიენტის ხარჯით.

2.14. პროფილის დადასტურების, ახალი მომსახურების მიწოდების ან შეჩერებული მომსახურების განახლების შესახებ, კლიენტი შეტყობინებას მიიღებს სისტემაში რეგისტრაციისას მის მიერ მითთებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან, თუ კლიენტს მითითებული აქვს მხოლოდ მობილური ტელეფონის ნომერი, SMS შეტყობინების საშუალებით.

2.15. კლიენტს ეკრძალება სისტემაში ერთზე მეტი პროფილის შექმნა და სისტემაში რეგისტრაციისას არასწორი ინფრომაციის მითითება. თუ კლიენტი მიუთითებს არასწორ ინფორმაციას, იგი ვალდებულია გაასწოროს ის. თუ არაზუსტი/არასწორი/არასაკმარისი მონაცემების გამო, კლიენტმა შექმნა რამდენიმე პროფილი, იგი ვალდებულია აცნობოს Paysera-ს აღნიშნულის შესახებ, რათა კლიენტის მიერ შექმნილი ყველა პროფილი გაერთიანდეს ერთ პროფილში. აღნიშნული პირობის დარღვევის შემთხვევაში, კლიენტი შეიძლება დაიბლოკოს, გაუქმდეს უკანონო ტრანზაქციები და საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია გადაეცეს სამართალდამცავ ორგანოებს.

3. Paysera მომსახურების ტარიფები და გადახდის პროცედურა

3.1 Paysera-ს მომსახურების ტარიფები და პირობებიგანსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამის თავში, Paysera-ს ვებ გვერდზე (ტარიფების გვერდი) ან კონკრეტული მომსახურებისთვის განკუთვნილ დანართში.

3.2. თუ Paysera ამცირებს სისტემაში მოცემულ მომსახურების გაწევის ტარიფს, ახალი ტარიფი ამოქმედდება მისი ვებ.გვერდზე გამოქვეყნებისთანავე, იმის მიუხედავად, იყო თუ არა კლიენტი აღნიშნულის შესახებ ინფორმირებული, გარდა იმ იმ შემთხვევისა, როდესაც სისტემაში ტარიფები იცვლება წინამდებარე ხელშეკრულების მე-11 მუხლით დადგენილი წესის მიხედვით.

3.3 Paysera-ს საკომისიო ჩამოიჭრება:

3.3.1 გადახდის ოპერაციის განხორციელებისას;

3.3.2. თუ საკომისიო არ იყო ჩამოჭრილი გადახდის ოპერაციის განხორციელებისას, Paysera-ს უფლება აქვს ჩამოჭრას ის მოგვიანებით, მაგრამ არა უგვიანეს გადახდის ოპერაციის განხორციელებიდან 2 (ორი) წლისა. აღნიშნულ პუნქტით დადგენილი წესით ჩამოჭრილი საკომისიოს შესახებ, კლიენტს ინფორმაცია მიეწოდება საკომისიოს ჩამოჭრის პერიოდზე მომზადებული ანგარიშში (ამონაწერში).

3.3.3. გადახდის ოპერაციის საკომისიოს შესახებ კლიენტს მიეთითება გადახდის ოპერაციის შესრულებამდე (თუ სხვაგვარად არ არის მითითებული კონკრეტული გადახდის ინსტრუმენტის ან მომსახურების წესში).

3.4. კლიენტი ადასტურებს, რომ ის ყურადღებით გაეცნო გადახდის ოპერაციისა და Paysera-ს სხვა მომსახურებებისტარიფებსა და პირობებს, რომლებიც გამოიყენება და რელევანტურია კლიენტთან მიმართებით.

3.5. Paysera-ს უფლებამოსილია ჩამოჭრას საკომისიო იმ ანგარიშიდან, საიდანაც შესრულდა გადახდის ოპერაცია ან Paysera-ში გახსნილი სხვა ანგარიშებიდან.

3.6. საკომისიო გადახდილ უნდა იქნას იმ ვალუტაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში, ხელშეკრულების დანართში ან ხელშეკრულებაში/დანართში განსაზღვრულ ვებ.გვერდზე.

3.7. კლიენტი იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს საკუთარ ანგარიშზე საკომისიოს გადახდისთვის საკმარისი თანხის არსებობა. თუ მითითებულ ვალუტაში სახსრების ოდენობა არასაკმარისია საკომისიოს გადასახდელად, Paysera-ს აქვს უფლება, მაგრამ არა ვალდებულება, ჩამოჭრას საკომისიო ანგარიშზე სხვა ვალუტაში არსებული ფულადი სახსრებიდან და დააკონვერტიროს ის საჭირო ვალუტაში Paysera-ს მიერ კონვერტირების მომენტში დადგენილი და კლიენტისთვის მოქმედი ვალუტის კურსის შესაბამისად. ვალუტის გაცვლის Paysera-ს

სტანდარტული კურსი გამოქვეყნებულია აქ. თუ ანგარიშზე არის თანხა რამდენიმე სხვადასხვა ვალუტაში, Paysera უფლებამოსილია გადასახდელ ვალუტაში კონვერტაცია განახორციელოს ვალუტების საერთაშორისო აბრევიატურების ანბანური თანმიმდევრობის მიხედვით.

3.8. კლიენტმა, რომელმაც არ შეასრულა Paysera-ს მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებულება, Paysera-ს მოთხოვნის საფუძველზე, ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 0,05% პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

4. Paysera-ს ანგარიშის გახსნა. ელექტრონული ფულის გაცემისა და განაღდების პირობები.

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, Paysera ანგარიში კლიენტისთვის სისტემაში იხსნება განუსაზღვრელი ვადით.

4.2. Paysera ანგარიში კლიენტს საშუალებას აძლევს შეიტანოს, გადარიცხოს, ანგარიშზე შეინახოს გადარიცხვებისთვის განკუთვნილი თანხები, განახორციელოს ადგილობრივი და საერთაშორისო ფულადი გადარიცხვები, გადაიხადოს განვადება, მიიღოს თანხა ანგარიშზე, განახორციელონ ანგარიშსწორება საქონელისა და მომსახურებისთვის და შეასრულოს სხვა ოპერაციები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული ფულად გადარიცხვებთან.

4.3. კლიენტის Paysera ანგარიშზე განთავსებული თანხები მიიჩნევა ელექტრონულ ფულად, რომელსაც Paysera გასცემს, კლიენტის მიერ მის Paysera ანგარიშზე თანხის შეტანის ან გადარიცხვის შემდეგ. თანხის მიღებისას Paysera განათავსებს მას კლიენტის ანგარიშზე, ამავდროულად უშვებს ელექტრონულ ფულს ნომინალური ღირებულებით. ელექტრონული ფული გადაეცემა კლიენტს, თავსდება და ინახება კლიენტის Paysera ანგარიშზემოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.4. Paysera-ს ანგარიშზე თანხის შეტანის ან გადარიცხვის კონკრეტული მეთოდი შეირჩევა კლიენტის პროფილში ფუნქციის „შევსების ინსტრუქციების“ არჩევით, რომელიც შეიცავს ინსტრუქციებს თანხების შეტანის და გადარიცხვის თითოეული მეთოდისთვის. თანხების შეტანის ინსტრუქციები და მასში არსებული მონაცემები ითვლება (შეიძლება ჩაითვალოს) უნიკალურ იდენტიფიკატორებად, რომლებიც საჭიროა გადახდის ოპერაციის სათანადო წესით შესასრულებლად.

4.5. ელექტრონული ფულის ნომინალური ღირებულება ემთხვევა Paysera-ს ანგარიშზე შეტანილი ან გადარიცხული სახსრების ნომინალურ ღირებულებას.

4.6. Paysera ანგარიშზე განთავსებული ელექტრონული ფული არ არის დეპოზიტი და Paysera, არც ერთ შემთხვევაში არ გადაიხდის პროცენტს ან სხვა სახის სარგებელს Paysera ანგარიშზე განთავსებული ელექტრონული ფულის შენახვისთვის რომელიც დაკავშირებულია იმ პერიოდის ხანგრძლივობასთან, როდესაც კლიენტი ინახავს ელექტრონულ ფულს Paysera ანგარიშზე.

4.7. კლიენტს შეუძლია ერთ პროფილში შექმნას და ფლობდეს Paysera-ს რამოდენიმე ანგარიში და გამოიყენოს ისინი საკუთარი შეხედულებებისამებრ.

4.8 კლიენტის Paysera ანგარიშზე შენახული ელექტრონული ფულის გამოსყიდვა შესაძლებელია მისი ნომინალური ფულადი ღირებულებით ნებისმიერ დროს, კლიენტის მოთხოვნით, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშზე მოქმედებს შეზღუდვები.

4.9. კლიენტი წარადგენს მოთხოვნას ელექტრონული ფულის გამოსყიდვის შესახებ საგადახდო დავალებით - გადატანილ იქნას ელექტრონული ფული მისი Paysera ანგარიშიდან კლიენტის მიერ მითითებულ ნებისმიერ სხვა ანგარიშზე (ბანკები და ელექტრონული გადახდის სისტემები, რომლებზეც Paysera-ს შეუძლია ფულის გადარიცხვა მითითებულია აქ) ან გაანაღდოს ელექტრონული ფული მათი Paysera ანგარიშიდან Paysera-ს მიერ მხარდაჭერილი და სისტემაში მითითებული სხვა მეთოდების გამოყენებით. Paysera-ს უფლება აქვს გამოიყენოს შეზღდვები ელექტრონული ფულის გამოსყიდვაზე (ლიმიტები), რომლებიც მითითებულია აქ.

4.10. ელექტრონული ფულის გამოსყიდვისთვის არ გამოიყენება რაიმე სახის დამატებითი პირობები გადასახადი არ გამოიყენება., რომლებიც განსხვავდება სტანდარტული გადარიცხვებისა და Paysera ანგარიშში განხორციელებული სხვა გადახდის ოპერაციებისგან. გამოსასყიდი ან გადარიცხული ელექტრონული ფულის რაოდენობას ირჩევს კლიენტი.

4.11. ელექტრონული ფულის განაღდებისთვის არ არის დაწესებული დამატებითი გადასახადი. ელექტრონული ფულის განაღდების შემთხვევაში კლიენტი იხდის ჩვეულ საკომისიოს შესრულებული ფულადი გადარიცხვისთვის ან გატანისთვის, რაც დამოკიდებულია კლიენტის მიერ განხორციელებულ ტრანზაქციაზე. ამ დროს გამოიყენება Paysera-ს სტანდარტული საკომისიო ფულის გადარიცხვის ან გატანისთვის.

4.12. იმ შემთხვევაში თუ კლიენტი შეწყვეტს ხელშეკრულებას და მოითხოვს, დაიხუროს თავისი Paysera ანგარიში და წაიშალოს მისი პროფილი სისტემიდან ან თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, Paysera შეწყვეტს Paysera ანგარიშის მომსახურებას კლიენტისთვის და წაშლის მის პროფილს სისტემიდან, Paysera ანგარიშზე არსებული თანხები გადაირიცხება კლიენტის საბანკო ანგარიშზე ან მის მიერ მითითებულ სხვა ელექტრონული გადახდის სისტემაში. Paysera-ს უფლება აქვს გადახდილი თანხიდან ჩამოჭრას Paysera-ს კუთვნილი თანხები (Paysera-ს მიერ გაწეული მომსახურების საკომისიოები და ხარჯები, რომლებიც არ არის გადახდილი კლიენტის მიერ, მათ შორის, მაგრამ არ მხოლოდ, კლიენტის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შედეგად Paysera-სთვის საერთაშორისო საგადახდო ბარათების ორგანიზაციების, სხვა ფინანსური ინსტიტუტების ან/და სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ დაკისრებული ჯარიმებისა და მიყენებული ზიანის გამო). Paysera-სა და კლიენტს შორის დავის შემთხვევაში, Paysera-ს უფლება აქვს დააკავოს სადაო თანხები დავის გადაწყვეტამდე.

4.13. იმ შემთხვევაში, თუ Paysera კლიენტს ვერ დაუბრუნებს თანხებს Paysera-სგან დამოუკიდებელი/ მის კონტროლის მიღმა მიზეზების გამო, კლიენტს დაუყოვნებლივ ეცნობოება აღნიშნულის შესახებ. კლიენტმა დაუყოვნებლივ უნდა მიუთითოს სხვა ანგარიში ან წარმოადგინოს დამატებითი ინფორმაცია, რაც აუცილებელია თანხის დასაბრუნებლად (გადარიცხვის შესასრულებად).

5. Paysera ანგარიშის გამოყენება

5.1. კლიენტს შეუძლია მართოს Paysera-ს ანგარიში ონალინ რეჟიმში, სისტემაში შესვლითს გზით, მისი ავტორიზაციის სახელითა და პაროლის გამოყენებითა და დამატებითი ავთენტიფიკაციის გავლით (კლიენტის ძლიერი ავტენტიფიკაცია).

5.2. კლიენტის Paysera ანგარიშდან შესაძლოა განხორციელდეს ტრანზაქციები:

5.2.1.სისტემაში არსებული სხვა მომხმარებლის (User) ანგარიშზე;

5.2.2. ლიეტუვურ, ევროკავშირისა და სხვა უცხოურ საბანკო ანგარიშებზე (გარდა იმ უცხოურ საბანკო ანგარიშებზე, სადაც ტრანზაქციის შესრულება აკრძალულია: ინფორმაციას მსგავსი ქვეყნების შესახებ Paysera კლიენტს სისტემაში აწვდის);

5.2.3. სისტემაში მითითებულ სხვა ელექტრონული გადახდების სისტემის ანგარიშებზე.

5.3. კლიენტის მიერ საერთაშორისო გადარიცხვაზე საგადახდო დავალების წარმოდგენისას, წინამდებარე ხელშეკრულებასთან ერთად დამატებით გამოიყენება დანართი „საერთაშორისო გადარიცხვების შესრულების პირობები“.

5.4.ვალუტის გაცვლა ხდება კონვერტაციის მომენტში მოქმედი Paysera-ს გაცვლითი კურსით, რომელიც მუდმივად ნახლდება და ქვეყნდება აქ (ვალუტის კურსები გამოიყენება დაუყოვნებლივ და ცალკე შეტყობინების გარეშე).

5.5. პროფილისა და ანგარიშის გახსნის და მხარდაჭერის საფასური მითითებულია ვებ.გვერდზე ფასების გვერდზე. თუ კლიენტი, ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში არ შევა საკუთარ პროფილზე და ანგარიშზე არ განახორციელებს ოპერაციას, Paysera მიიჩნევს, რომ სისტემაში არსებული პროფილი და ანგარიშ(ებ)ი არ გამოიყენება (არააქტიურია). თუ პროფილი და ანგარიშ(ებ)ი არააქტიურია და ანგარიშებზე არ არის ფულადი სახსრები, Paysera-ს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და დახუროს პროფილი და ანგარიშ(ებ)ი, არააქტიური პროფილისა და ანგარიშების შესახებ, კლიენტისთვის 30 დღით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე. თუ სულ მცირე ერთ არააქტიურ ანგარიშზე მაინც განთავსებულია ფულადი სახსრები, Paysera არ დახურავს პროფილს და დახურავს მხოლოდ არააქტიურ ანგარიშ(ებ)ს. თუ კლიენტის პროფილი და ანგარიშ(ებ)ი მასზე არსებული ფულადი სახსრებით დარჩება არააქტიური კიდევ ორი წლის განმავლობაში, Paysera დაიწყებს საკომისიოს დარიცხვას არააქტიური პროფილისა და იმ ანგარიშ(ებ)ის ადმინისტრირებისათვის, რომელზედაც განთავსებულია ფულადი სახსრები. საკომისიოს ოდენობა მითთებულია here.

5.6. კლიენტის Paysera-ში არსებული ანგარიშიდან კლიენტის სხვა ბანკში არსებულ ანგარიშზე, ბარათზე ან სხვა ელექტრონული საგადახდო სისტემის საგადახდო ანგარიშზე, ისევე როგორც კლიენტის სხვა ბანკში არსებული ანგარიშებიდან, ბარათებიდან, ან სხვა ელექტრონული საგადახდო სისტემის ანგარიშებიდან თანხის Paysera-ში არსებულ ანგარიშზე გადმორიცხვისთვის, აღნიშნულმა ბანკმა ან ელექტრონულმა საგადახდო სისტემამ შესაძლოა დააწესოს საკომისიო შესაბამისი მომსახურებისათვის.

5.7. ბანკებისა და ელექტრონული საგადახდო სისტემების ჩამონათვალი, სადაც სრულდება გადარიცხვები, ისევე როგორც მათი საკომისიოები და გადარიცხვების პირობები მოცემულია აქ .

5.8. Paysera მომსახურების საკომისიო ჩამოიჭრება კლიენტის Paysera ანგარიშზე არსებული თანხებიდან. იმ შემთხვევაში, თუ Paysera ანგარიშზე არსებული თანხის ოდენობა ნაკლებია გადასარიცხი თანხის ოდენობასადა Paysera მომსახურების საკომისიოზე, გადარიცხვა არ შესრულდება.

5.9. როდესაც კლიენტის Paysera ანგარიშიდან ბანკებში ან სხვა ელექტრონული გადახდის დაწესებულებებში არსებულ ანგარიშებზე სრულდება გადარიცხვები, SEPA, TARGET2 ან SEPA Instant გადარიცხვების გარდა, Paysera ეთითება, როგორც გადამხდელი. გადარიცხვასთან ერთად, მიმღებს გადაეცემა შემდეგი ინფორმაცია, რომელიც, ტექნიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შეიძლება მიეწოდოს ქვემოთ მითითებული ერთი ან რამდენიმე სახით:

5.9.1. დეტალური ინფორმაცია გადამხდელის-კლიენტის შესახებ ეთითება ძირითადი გადამხდელის ველში, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი სისტემა მხარდაჭერილია შესაბამისი საგადახდის სისტემის ან ბანკის მიერ;

5.9.2. დეტალური ინფორმაცია გადამხდელი-კლიენტის შესახებ მოცემულია გადახდის დანიშნულების ველში;

5.9.3. გადარიცხვასთან ერთად, მიმღებს მიეწოდება უნიკალური, ამ კონკრეტული გადარიცხვისთვის შექმნილი ბმული, იმ ვებ.გვერდზე, სადაც მითითებულია დეტალური ინფორმაცია გადარიცხვისა და გადამხდელის შესახებ.

5.10. თუ გადამხდელი მიუთითებს მიმღების არასწორ მონაცემებს (უნიკალური იდენტიფიკატორი) და საგადახდო დავალება შესრულდება გადამხდელის მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით (მაგალითად, გადამხდელი მიუთითებს მიმღების არასწორ ანგარიშის ნომერს), ითვლება, რომ Paysera-მ სათანადოდ შეასრულა ვალდებულება და მას არ ეკისრება გადამხდელისათვის გადარიცხული თანხის დაბრუნების

ვალდებულება. Paysera იღებს ვალდებულებას მიიღოს ყველა საჭირო ზომა გადარიცხვის ოპერაციაზე შესაბამისი ინფორმაციის მოპოვებისა და თანხის დაბრუნებისათვის. თუ, Paysera ვერ შეძლებს აღნიშნულის განხორციელებას, თანხის დაბრუნების საკითხზე გადამხდელი უნდა დაუკავშირდეს უშუალოდ გადარიცხვის მიმღებ პირს.

5.11. კლიენტი ვალდებულია გადახდის ოპერაციის შესასრულებლად წარმოადგინოს საგადახდო დავალება სისტემაში მითითებული და გადარიცხვის მომენტისთვის მოქმედი ინსტრუქციის შესაბამისად. თუ კლიენტი არის მიმღები, ის ვალდებულია გადამხდელს მიაწოდოს დეტალური და ზუსტი ინფორმაცია, რათა განსახორციელებელი გადახდის ოპერაციის საგადახდო დავალება, ყველა შემთხვევაში შეესაბამებოდეს სისტემაში გადარიცხვის მომენტისათვის მოქმედ ინსტრუქციებს. გადახდის ოპერაციის შესასრულებლად საგადახდო დავალების გაგზავნამდე ან ინფორმაციის სხვა გადამხდელთან გაგზავნამდე, კლიენტი ვალდებულია შეამოწმოს და განაახლოს ანგარიშის შევსების ინსტრუქციები. თანხის შეტანის ინსტრუქციები და მასში წარმოდგენილი მონაცემები ჩაითვლება (შეიძლება ჩაითვალოს) უნიკალურ იდენტიფიკატორებად, რომლებიც აუცილებელია გადახდის ოპერაციის სათანადოდ შესასრულებლად.

5.12. თუ გადამხდელი წარადგენს არასწორ საგადახდო დავალებას ან არასწორად მიუთითებს გადარიცხვისთვის საჭირო მონაცემებს, მაგრამ გადარიცხვა ჯერ არ არის შესრულებული, გადამხდელს შეუძლია მოითხოვოს საგადახდო დავალების შესწორება. ამ შემთხვევაში გამოიყენება სისტემაში მითითებული საგადახდო დავალების კორექტირების საკომისიო.

5.13. თუ Paysera-მ მიიღო თანხა, მაგრამ ვერ რიცხავს მას საგადასახადო დავალებაში მითითებულ მიმღების ანგარიშზე (მაგ. მიმღების ანგარიში დახურულია, მითითებული IBAN ნომერი არ არსებობს ან სხვა), Paysera გადამხდელს უბრუნებს ტრანზაქციის თანხას, არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა. აღნიშნულ შემთხვევაში, შესაძლოა, დარიცხულ იქნეს თანხის დაბრუნებისთვის სისტემაში დაწესებული საკომისიო. თუ Paysera ვერ შეძლებს საგადახდო დავალების შესრულებას გადამხდელის მიერ საგადახდო დავალებაში არასწორად მითითებული ინფორმაციის გამო, გადამხდელის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, საგადახდო დავალება შეიძლება გაუქმებული (გამოთხოვილი) იქნას და საგადახდო დავალებაში მითითებული თანხა გადამხდელს დაუბრუნდეს მხოლოდ გადამხდელისთვის თანხების დაბრუნებაზე მიმღების მიერ გაცემული თანხმობის საფუძველზე (თუ შესაძლებელია მიმღების იდენტიფიცირება). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება სისტემაში მითითებული საგადახდო დავალების გაუქმების (გამოთხოვის) საკომისიო.

5.14. ყველა შემთხვევაში, როდესაც Paysera მიიღებს საგადახდო დავალებას, მაგრამ მასში დაშვებული შეცდომის ან არასაკმარისი ინფორმაციის გამო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა ვერ ხორციელდება და არც გადამხდელი და არც მიმღები არ დაუკავშირდებიან Paysera-ს საგადახდო დავალების დასაზუსტებლად ან ამ თანხების დასაბრუნებლად,Paysera მიიღებს ყველა შესაძლო ზომას, რათა მოიპოვოს ზუსტი ინფორმაცია გადახდის ოპერაციასთან დაკავშირებით და შეასრულოს საგადახდო დავალება. გადახდის ოპერაციაზე შესაბამისი ინფორმაციის მოპოვებისათვის, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნებს შემდეგი ზომები:

5.14.1. თუ Paysera-ს აქვს გადამხდელის საკონტაქტო ინფორმაცია (ელ.ფოსტის მისამართი ან ტელეფონის ნომერი), Paysera დაუკავშირდება გადამხდელს საგადახდო დავალების დასაზუსტებლად.

5.14.2. თუ Paysera-ს არ აქვს გადამხდელის საკონტაქტო ინფორმაცია და არც გადამხდელი და არც მიმღები არ უკავშირდებიან Paysera-ს საგადახდო დავალებაში მითითებულ თანხასთან დაკავშირებით, Paysera დაუკავშირდება გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერს, რომელისგანაც მიღებულ იქნა საგადახდო დავალებაში მითითებული თანხა და სთხოვს გადამხდელთან დაკავშირებას, ინფორმაციის დასაზუსტებლად. აღნიშნული ზომა გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან დაკავშირება შესაძლებელია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით;

5.14.3. თუ ზემოაღნიშნული ზომებით ვერ ხორციელდება გადახდის ოპერაციაზე შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება, Paysera-ს უფლება აქვს გადამხდელს გადაურიცხოს 0,01 ევროს ან სხვა მინიმალური ოდენობის თანხა და გადახდის დანიშნულებაში მიუთითოს თხოვნა დაუკავშირდეს Paysera-ს და ელ.ფოსტის მეშვეობით დააზუსტოს არასწორი საგადახდო დავალება. წინამდებარე ზომა გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ Paysera-თვის ცნობილია გადამხდელის ანგარიშის ნომერი საიდანაც მიღებულ იქნას თანხა, ასეთი გადარიცხვის ღირებულება გონივრულია და გადარიცხვის თანხა არ არის 10.00 (ათ) ევროზე ნაკლები.

5.15. ხელშეკრულების 5.14 პუნქტში ჩამოთვლილ ყველა შემთხვევაში გამოიყენება სისტემაში მითითებული საგადახდო დავალების შესწორების საკომისიო, რომელიც გამოიქვითება გადარიცხული თანხიდან კლიენტი-მიმღების ანგარიშზე ჩარიცხვამდე.

5.16. იმ შემთხვევაში, თუ, გადახდის ოპერაციაზე შესაბამისი ინფორმაციის მოპოვების მიზნით, შეუძლებელია 5.14 პუნქტში ჩამოთვლილი ზომების გამოყენება და სხვა შემთხვევებშიც, როდესაც მითითებული ან შესწორებული მონაცემების მიხედვით მიმღების იდენტიფიცირება ისევ შეუძლებელია, ფულადი სახსრები ინახება Paysera-ს სისტემაში, სანამ გადამხდელი ან მიმღები არ დაუკავშირდება Paysera-ს და მიაწოდებს საჭირო დამატებით მონაცემებს მიმღებისთვის თანხების ჩარიცხვისთვის ((კლიენტი-მიმღების ანგარიშზე თანხის ჩარიცხვამდე, გადასარიცხი თანხიდან საგადახდო დავალების დაზუსტების ან შესწორების საკომისიოს გამოქვითვის შემდეგ). ასეთი თანხები ასევე შეიძლება დაუბრუნდეს გადამხდელს, გადამხდელის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. მსგავს შემთხვევაში თანხის დაბრუნების საკომისიო, რომელეიც მოცემულია სისტემაში, ჩამოიჭრება გადასარიცხი თანხიდან, მის გადამხდელთან დაბრუნებამდე.

5.17. კლიენტი, რომლისთვისაც ცნობილი გახდა, რომ თანხა Paysera ანგარიშზე ჩაირიცხა ან Paysera-ს ანგარიშიდან ჩამოიჭრა შეცდომით ან სხვა კანონიერი საფუძვლის გარეშე, ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ შეატყობინოს Paysera-ს. კლიენტს არ აქვს უფლება განკარგოს თანხა, რომელიც მას არ ეკუთვნის. ასეთი შემთხვეაში, კლიენტი იძლევა წინასწარ შეუქცევად თანხმობას, კლიენტის დავალების გარეშე, Paysera-ს მიერ თანხის კლიენტის Paysera ანგარიშიდან ჩამოჭრაზე. თუ კლიენტის Paysera ანგარიშზე არსებული თანხა არასაკმარისია, Paysera-ს ანგარიშზე შეცდომით ჩარიცხული ან Paysera ანგარიშიდან შეცდომით კლიენტის სხვა ანგარიშზე ჩარიცხული თანხის ჩამოსაჭრელად, კლიენტი იღებს უპირობო ვალდებულებას Paysera ანგარიშებზე შეცდომით ჩარიცხული ან Paysera ანგარიშიდან შეცდომით კლიენტის სხვა ანგარიშზე ჩარიცხული თანხა დაუბრუნოს Paysera-ს, Paysera-სგან ასეთი მოთხოვნის მიღებიდან 3 (სამ) სამუშაო დღეში. თუ კლიენტი ვერ დააბრუნებს აღნიშნულ თანხას დროულად, Paysera-ს მოთხოვნის შემთხვევაში, იგი ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმა - ვადაგადაცილებული დასაბრუნებელი თანხის 0,05 პროცენტის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

5.18. კლიენტს უფლება აქვს შეცვალოს Paysera-ს ანგარიშიდან გადარიცხვების ლიმიტები, სისტემაში დადგენილი წესის შესაბამისად,

პროფილის დამატებითი ავთენტიფიკაციის შესრულებით და გადარიცხვების განსხვავებული ლიმიტების დაწესებით, რომლებიც ძალაში შედის დამატებითი ლიმიტების ვერიფიკაციიდან 12 საათში. კლიენტი უფლებამოსილია საკუთარი სურვილისამებრ დააწესოს ლიმიტების მოცულოები. კლიენტს განსაზღვრული ლიმიტების შემოწმება შეუძლია პროფილში შესვლით. მიუხედავად ამისა, Paysera-ს აქვს უფლება შეზღუდოს ლიმიტების მოცულობები და მოსთხოვოს კლიენტს სისტემაში მითითებული პროცედურების მიხედვით შეასრულოს დამატებითი ავთენტიფიკაციის პროცედურა. კლიენტს ლიმიტების გააქტიურების შესახებ ეცნობება ელ.ფოსტის საშუალებით. ხელშეკრულების ეს დებულება არ შეიძლება გავრცელდეს 14 (თოთხმეტი) წლამდე არასრულწლოვანებზე და სხვა პირებზე, რომლებზეც შეიძლება გამოყენებულ იქნას ფიქსირებული ლიმიტები.

5.19. კლიენტს შეუძლია შეამოწმოს ანგარიშის ბალანსი და ისტორია პროფილზე შესვლით, სადაცასევე შესაძლებელია არჩეული დროის მონაკვეთში კლიენტის ანგარიშდან ჩამოჭრილი ყველა საკომისიოსა და სხვა გადასახადებზე ინფორმაციის მოძიება.

5.20. კლიენტი ადასტურებს, რომ:

5.20.1. მის Paysera ანგარიშზე შემოსული თანხები არ არის მიღებული დანაშაულებრივი ქმედების შედეგად;

5.20.2. კლიენტი Paysera-ს მიერ მიწოდებულ მომსახურებებს არ გამოიყენებს არაკანონიერი მიზნებისთვის, მათ შორის, დანაშაულებრივი ან სხვა უკანონო გზით მიღებული თანხების ლეგალიზაციის მიზნით.

5.21. კლიენტს შეუძლია მართოს Paysera ანგარიში და შეასრულოს გადახდის ოპერაციები Paysera ანგარიშიდან შემდეგი გზეით:

5.21.1. ინტერნეტით, თავის პროფილზე შესვლის გზით;

5.21.2. Paysera აპლიკაციის საშუალებით (დანართი Paysera აპლიკაციის გამოყენებით Paysera ანგარიშის მართვა შესაძლებელია, მას შემდეგ რაც კლიენტი დაეთანხმება დანართის პირობებს);

5.21.3. Paysera-ს ანგარიშთან დაკავშირებული გადახდის ინსტრუმენტებით (დანართი საგადახდო ინსტრუმენტები ხელმისაწვდომია მას შემდეგ რაც მომხმარებელი დაეთანხმება დანართის პირობებს);

5.21.4. Paysera-ს მიერ მითითებული სხვა ინსტრუმენტებით მას შემდეგ, რაც კლიენტი დაეთანხმება აღნიშნული ინსტრუმენტების გამოყენების პირობებს.

5.22. კლიენტის დასტური, დავალებები, მოთხოვნები, შეტყობინებები და სხვა ქმედებები, რომლებიც განხორციელებულია მესამე პირების ვებ.გვერდიდან ან სხვა ადგილებიდან, კლიენტის Paysera ანგარიშზე შესვლით და ამ გზით კლიენტის ვინაობის დადასტურებით, განიხილება, როგორც ელექტრონული ხელმოწერით დადასტურებული გარიგების დადება.

5.23. საგადახდო დავალების შესრულება Paysera ანგარიშიდან ინტერნეტის მეშვეობით:

5.23.1. გადახდის ოპერაციის ინტერნეტით განხორციელებისათვის, კლიენტმა სისტემაში უნდა შეავსოს და წარადგინოს საგადახდო დავალება და გასცეს ელექტრონული თანხმობა საგადახდო დავალების სისტემაში შესრულებაზე.

5.23.2. სისტემაში საგადახდო დავალების წარდგენა არის კლიენტის თანხმობა საგადახდო ოპერაციის შესრულებაზე, რომელიც არ შეიძლება გამოთხოვილ იქნას (საგადახდო დავალების გამოთხოვა შესაძლებელია მხოლოდ საგადახდო დავალების შესრულების დაწყებამდე – საგადახდო დავალების სტატუსი და გაუქმების შესაძლებლობა ჩანს კლიენტის პროფილში).

5.23.3. სისტემის შიგნით გადარიცხვისას, კლიენტის ანგარიშიდან სხვა პირის Paysera ანგარიშზე გადარიცხვის საგადახდო დავალების გაგზავნისას, კლიენტს შეუძლია აირჩიოს პაროლით დაცული გადარიცხვის შესრულება. ასეთ შემთხვევაში, კლიენტი საგადახდო დავალების დაგენერირებისას აყენებს პაროლს გადარიცხვისთვის. გადარიცხვა დასრულდება მას შემდეგ, რაც მიმღები შეიყვანს კლიენტის-გადახმდელის მიერ დაყენებულ პაროლს. თუ მიმღები არ შეიყვანს პაროლს, გადარიცხული თანხა ავტომატურად დაბრუნდება გადამხდელის Paysera ანგარიშზე, 30 დღის შემდეგ. ასეთი გადარიცხვის ავტორიზაციის მომენტად ითვლება მიმღების მიერ გადარიცხვის პაროლის შეყვანის მომენტი. ასეთი გადარიცხვა არ შეიძლება გამოთხოვილ იქნას მას შემდეგ, რაც მიმღები შეიყვანს გადარიცხვის პაროლს. კლიენტი სრულად არის პასუხისმგებელი მიმღებისთვის გადახდის პაროლის სათანადო და უსაფრთხოდ გადაცემაზე და უზრუნველყოფს პაროლს მხოლოდ მიმღებისათვის გამჟღავნებას.

5.23.4. საგადახდო დავალების შევსებისას კლიენტს შეუძლია შეიყვანოს მომავალი გადახდის თარიღი, რომელიც შეიძლება იყოს არაუგვიანეს 2 (ორი) წლისა, საგადახდო დავალების შევსების დღიდან. თუ კლიენტის მიერ მითითებულ დღეს კლიენტის Paysera ანგარიშზე არსებული თანხა საკმარისია საგადახდო დავალების შესრულებისათვის, საგადახდო დავალება შესრულდება. Paysera-ს სხვა ანგარიშზე გადარიცხვა შესრულდება მითითებული დღის დასაწყისში (00:00 სთ EET სასაათო სარტყლის შესაბამისად). საბანკო ანგარიშზე გადარიცხვა ხდება სისტემაში მითითებულ ვადებში.

5.23.5. იმ შემთხვევაში თუ საგადახდო დავალება არასწორად შეივსო, გადარიცხვა არ შესრულდება, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევისა, როცა Paysera, საკუთარი ინიციატივით დააზუსტებს საგადახდო დავალებას ან დააკორექტირებს საგადახდო დავალებას, დავალების დამოუკიდებლად კორექტირებისათვის და საგადახდო დავალების შესრულებისთვის საკმარისი ინფორმაციის ფლობის საფუძველზე.

5.23.6. ითუ კლიენტის Paysera ანგარიშზე თანხის ოდენობა არასაკმარისია გადარიცხვის ოპერაციის შესასრულებლად, გადარიცხვა არ შესრულდება. თუმცა, სისტემა შეეცდება საგადახდო დავალების შესრულებას დავალების მიღებიდან მომდევნო 5 (ხუთი) დღის განმავლობაში. თუ ამ პერიოდის განმავლობაში ანგარიშზე არსებული თანხა კვლავ არასაკმარისი იქნება საგადახდო დავალების შესასრულებლად, საგადახდო დავალება გაუქმდება და სისტემა აღარ ეცდება მის შესრულებას. თუ ანგარიშზე არსებული გადარიცხვის ვალუტაში არსებული თანხა არასაკმარისია საგადახდო დავალების შესასრულებლად, მაგრამ ანგარიშზე სხვა ვალუტაში არსებული თანხა

საკმარისია გადარიცხვის განსახორციელებლად, გადარიცხვა არ შესრულდება მანამ, სანამ კლიენტი არ განახორციელებს ვალუტის კონვერტაციას გადარიცხვის ვალუტაში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტმა აირჩია ვალუტის ავტომატური გადაცვლის ფუნქცია ან გადარიცხვით ხორციელდება Paysera სისტემის მეშვეობით საქონლის ან მომსახურების ღირებულების გადახდა).

5.24. Paysera ანგარიშის მართვის მეთოდების გამოყენების პირობები, გარდა წინამდებარე შეთანხმების 5.21 პუნქტში მითითებულისა (Paysera ანგარიშის ინტერნეტით მართვის გამოკლებით), მოცემულია ცალკეულ დანართებში, რომლებიც არეგულირებენ Paysera ანგარიშის მართვის კონკრეტულ მეთოდებს. სპეციალური დანართი, რომელიც არეგულირებს Paysera ანგარიშის მართვის სხვა მეთოდებს, გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი აირჩევს Paysera ანგარიშის მართვის შესაბამისი მეთოდის გამოყენებას. დანართი კლიენტისთვის ძალაში შედის იმ მომენტიდან, როდესაც იგი ელექტრონულად ან სხვაგვარად დაადასტურებს, რომ გაეცნო დანართის პირობებს და გამოთქვამს თანხმობას, ისარგებლოს დანართში მითითებული მომსახურებით.

5.25. Paysera შესრულებული და მიღებული გადახდის ოპერაციების შესახებ ინფორმაციას კლიენტს აწვდის კლიენტის ანგარიშის ამონაწერში. კლიენტს შეუძლია შევიდეს საკუთარ პროფილში და ნახოს აღნიშნული ინფორმაცია უფასოდ ან დაბეჭდოს იგი შერჩეული სიხშირით.

6. ნაღდი ფულის შეტანა და მისი გატანა

6.1. Paysera კლიენტებს აძლევს შესაძლებლობას შეიტანონ ნაღდი ფული Paysera-ს ანგარიშზე სისტემაში მითითებული პირობების შესაბამისად. ნაღდი ფულის შეტანის ადგილები, პირობები, ვალუტები, ლიმიტები და ტარიფები მოცემულია აქ .

6.2. Paysera აძლევს მომხმარებელს შესაძლებლობას გაიტანოს ნაღდი ფული ანგარიშიდან სისტემაში მითითებული პირობებით. თანხის განაღდების ადგილები, პირობები, ვალუტები, ლიმიტები და ტარიფები მოცემულია აქ.

6.3. ნაღდი ფულით შეტანის ოპერაციების განხორციელებისას კლიენტმა უნდა გადაითვალოს ანგარიშზე შესატანი ნაღდი ფული მის ჩარიცხვამდე, ხოლო ანგარიშიდან ნაღდი ფულის გატანისას თავად გადაითვალოს თანხა მიღებისთანავე და დაუყოვნებლივ წარადგინოს ნებისმიერი კომენტარი ან პრეტენზია, რომელიც ეხება ნაღდი ფულის ოდენობას და ბანკნოტების ხარისხს.

6.4. Paysera ანგარიშზე ნაღდი ფულის შეტანის შემდეგ, კლიენტს შეუძლია განკარგოს ელექტრონული ფული Paysera-ს მიერ თანხების მიღებისთანავე.

7. საგადახდო დავალების მიღება, საგადახდო დავალების მიმართ დადგენილი მოთხოვნები და უარი მის შესრულებაზე

7.1. თუ კლიენტი არის გადამხდელი, საგადახდო დავალება Paysera-ს მიერ მიღებულად ითვლება (ასეთი საგადახდო დავალების შესრულების ვადის ათვლა იწყება) მისი მიღების დღეს, ხოლო თუ საგადახდო დავალების მიღების მომენტი არ არის Paysera-ს სამუშაო დღე, დავალება მიღებულად ითვლება Paysera-ს მომდევნო სამუშაო დღეს.

7.2. როდესაც საგადახდო დავალება მიღებულია Paysera-ს სამუშაო დღეს, მაგრამ არა სამუშაო საათებში, საგადახდო დავალება მიღებულად ითვლება Paysera-ს მომდევნო სამუშაო დღეს.

7.3. Paysera-ს სისტემაში საგადახდო დავალება სრულდება დაუყოვნებლივ (რამდენიმე წუთში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადახდის ოპერაცია შეჩერებულია სამართლებრივი აქტებით და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევების გამო), მიუხედავად Paysera-ს სამუშაო საათებისა.

7.4. Paysera-ს უფლება აქვს ჩაიწეროს და შეინახოს საგადახდო დავალებები, რომლებიც წარდგენილია Paysera-სთან შეთანხმებული ნებისმიერი საშუალებით/ფორმით, ასევე ჩაიწეროს და შეინახოს ინფორმაცია კლიენტის მიერ ან მისი საგადახდო დავალებების შესაბამისად შესრულებული გადახდის ოპერაციების შესახებ. Paysera-ს შეუძლია, წინამდებარე მუხლში აღნიშნული ჩანაწერები მიაწოდოს კლიენტს და/ან მესამე პირებს, რომლებსაც, კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლით, აქვთ უფლება მიიღონ აღნიშნული მონაცემები, როგორც გადახდის ოპერაციის წარდგენის და/ან განხორციელებული საგადახდო ოპერაციების დამადასტურებელი მტკიცებულება.

7.5. კლიენტის მიერ წარდგენილი საგადახდო დავალება უნდა შეესაბამებოდეს საგადახდო დავალების წარდგენის ან/და საგადახდო დავალების შინაარსის მიმართ კანონმდებლობისა ან/და Paysera-ს მიერ დადგენილ მოთხოვნებს. კლიენტის მიერ წარდგენილი საგადახდო დავალება უნდა იყოს ჩამოყალიბებული ნათლად და ცალსახად, უნდა იყოს შესრულებადი და შეიცავდეს კლიენტის მკაფიოდ გამოხატულ ნებას. Paysera არ იღებს პასუხისმგებლობას კლიენტის მიერ წარდგენილ საგადახდო დავალებებში არსებულ შეცდომებზე, შეუსაბამობებზე, გამეორებებზე და/ან წინააღმდეგობებზე , მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, კლიენტის მიერ წარმოდგენილი საგადახდო დავალებების

დეტალების სისწორეზე. თუ კლიენტის მიერ წარდგენილი საგადახდო დავალება არ შეიცავს საკმარის მონაცემებს ან შეიცავს ხარვეზს, Paysera-ს, მიუხედავად საგადახდო დავალების ხარვეზის ხასიათისა, შეუძლია უარი თქვას ასეთი საგადახდო დავალების შესრულებაზე ან შეუძლია შეასრულოს იგი საგადახდო დავალებაში მოცემული მონაცემების შესაბამისად.

7.6. Paysera-ს უფლება აქვს უარი თქვას საგადახდო დავალების შესრულებაზე, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ საგადახდო დავალება ან კლიენტის /მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები არ შეესაბამება კანონმდებლობით ან/და Paysera-ს მიერ დადგენილ მოთხოვნებს ან Paysera-ს აქვს საფუძვლიანი ეჭვი აღნიშნული დოკუმენტების ნამდვილობასა და უტყუარობასთან დაკავშირებით. თუ Paysera-ს აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ საგადახდო დავალება არ არის წარდგენილი კლიენტის ან კლიენტის კანონიერი წარმომადგენლის მიერ, ან აქვს ეჭვი წარმოდგენილი დოკუმენტების ნამდვილობასთან დაკავშირებით ან სხვა ეჭვი წარმოდგენილი საგადახდო დავალების კანონიერებასა ან შინაარსთან დაკავშირებით, Paysera-ს აქვს უფლება მოსთხოვოს კლიენტს, დამატებით დაადასტუროს წარდგენილი საგადახდო დავალება და/ან წარმოადგინოს პირის ანგარიშზე არსებული თანხების განკარგვის უფლებების დამადასტურებელი დოკუმენტები ან Paysera-ს მიერ მოთხოვნილი სხვა დოკუმენტები, Paysera-თვის მისაღები გზით და კლიენტის ხარჯზე. აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში Paysera მოქმედებს კლიენტის, Paysera-ს და/ან სხვა პირების კანონიერი ინტერესების დასაცავად, შესაბამისად, Paysera არ იღებს პასუხისმგებლობას ზიანზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას წარდგენილი საგადახდო დავალების შეუსრულებლობით.

7.7. კლიენტმა უნდა უზრუნველყოს, მის Paysera ანგარიშზე, საგადახდო დავალების შესასრულებლად შესაბამის ვალუტაში შესაბამისი თანხის არსებობა.

7.8. კლიენტის მიერ წარდგენილი საგადახდო დავალების შესრულებამდე, Paysera-ს უფლება აქვს, მოსთხოვოს კლიენტს საგადახდო დავალებაში მითითებული თანხის წარმომავლობის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. თუ კლიენტი არ წარმოადგენს აღნიშნულ დოკუმენტებს, Paysera-ს უფლება აქვს უარი თქვას დავალების შესრულებაზე.

7.9. Paysera-ს უფლება აქვს ნაწილობრივ ან სრულად გამოიყენოს მესამე პირ(ებ)ი კლიენტის საგადახდო დავალების შესრულებისთვის, თუ კლიენტის ინტერესები ან/და საგადახდო დავალების არსი საჭიროებს ამას. როდესაც კლიენტის საგადახდო დავალების შესრულებისთვის საჭიროა მისი გაგზავნა და შემდგომ შესრულება სხვა ფინანსური ინსტიტუტის მეშვეობით, მაგრამ ეს ინსტიტუტი, შიდა პროცედურის შესაბამისად, აჩერებს კლიენტის საგადახდო დავალებიას, Paysera არ არის პასუხისმგებელი ფინანსური ინსტიტუტის მსგავს ქმედებებზე, მაგრამ მიმართავს ყველა შესაძლო ძალისხმევას, რათა გაარკვიოს საგადახდო დავალების შეჩერების მიზეზები. Paysera-ს უფლება აქვს შეაჩეროს და/ან შეწყვიტოს კლიენტის საგადახდო დავალების შესრულება, თუ ეს მთხოვნილია კანონით ან აუცილებელია Paysera-ს კონტროლს მიღმა არსებული სხვა მიზეზების გამო.

7.10. თუ Paysera უარს აცხადებს კლიენტის საგადახდო დავალების შესრულებაზე, მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს კლიენტს ამის შესახებ ან შეუქმნას საჭირო პირობები, რათა გაეცნოს ამგვარ შეტყობინებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსგავსი შეტყობინების მიწოდება ტექნიკურად შეუძლებელია ან აკრძალულია სამართლებრივი აქტებით.

7.11. Paysera არ შეასრულებს კლიენტის მიერ წარდგენილ საგადახდო დავალებებს მის ანგარიშებზე განსახორციელებელ ოპერაციებთან დაკავშრებით, თუ კლიენტის ანგარიშზე არსებული თანხები დაბლოკილია/დაყადაღებულია, კლიენტის უფლება განკარგოს თანხები კანონით სხვაგვარად არის შეზღუდული ან კლიენტის გადახდის ოპერაციები შეჩერებულია მოქმედი სამართლებლივი აქტებით.

7.12. თუ საგადახდო დავალების საფუძველზე გადარიცხული თანხა თანხა უკან დაბრუნდა Paysera-სგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (საგადახდო დავალების არასწორი მონაცემები, მიმღების ანგარიში დახურულია და ა.შ.), დაბრუნებული თანხა განთავსდება ანგარიშზე. საგადახდო დავალების შესრულებისთვის Paysera-თვის გადახდილი საკომისიო უკან არ ბრუნდება, ხოლო თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებული, Paysera-ს მიერ დადგენილი საკომისიო, შესაძლებელია, ჩამოიჭრას ანგარიშიდან.

7.13. Paysera-ს მიერ ინიციირებული გადარიცხვები შესაძლოა იყოს სტანდარტული (არა- სასწრაფო) და სასწრაფო (თუ არსებობს ამის ტექნიკური შესაძლებლობა). გადარიცხვის მეთოდს ირჩევს კლიენტი (თუ არსებობს ამის ტექნიკური შესაძლებლობა). თუ კლიენტი არ აირჩევს გადარიცხვის მეთოდს, მიიჩნევა, რომ კლიენტმა დაინიციირა გადარიცხვის მეთოდი, რომელიც განხორციელდება კლიენტისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობის ავტომატური შერჩევით.

8. თანხმობის წარდგენა და გაუქმება, საგადახდო დავალების გაუქმება

8.1. გადარიცხვა მიიჩნევა ავტორიზებულად, მხოლოდ გადამხდელის თანხმობის მიღების შემდეგ. Paysera-ს აგენტისთვის მიცემული თანხმობა ითვლება Paysera-სთვის მიცემულ თანხმობად. კლიენტს (გადამხდელს) შეუძლია თანხმობა წარადგინოს Paysera-ს მიერ განსაზღვრული ან კლიენტთან შეთანხმებული ფორმითა და წესით. წერილობით წარდგენილ თანხმობას ხელი უნდა მოაწეროს კლიენტმა ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა. თანხმობა ასევე შეიძლება დადასტურდეს ელექტრონული ხელმოწერით, პაროლით, კოდით და/ან ავთენტიფიკაციის სხვა საშუალებებით. გადახდის ოპერაციის ან რამდენიმე გადახდის ოპერაციის შესრულებაზე თანხმობა ასევე შეიძლება გაცემულ იქნეს მიმღების ან გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერის მეშვეობით. აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებულ ყველა შემთხვევაში, კლიენტის (გადამხდელის) მიერ გაცემული თანხმობა ითვლება კლიენტის (გადამხდელის) მიერ სათანადოდ დადასტურებულად, ამგვარ თანხმობას აქვს იგივე იურიდიული ძალა, რაც კლიენტის (მისი წარმომადგენლის) მიერ მატერიალურ დოკუმენტზე პირადად ხელმოწერილ დოკუმენტს (თანხმობას) და დასაშვებია, მისი, როგორც მტკიცებულების გამოყენება Paysera-სა და კლიენტს შორის სასამართლოებსა და სხვა დაწესებულებებში დავების გადაწყვეტისას. კლიენტს არ აქვს უფლება გააპროტესტოს Paysera-ს მიერ შესრულებული გადახდის ოპერცია, თუ საგადახდო დავალება დადასტურებულია აღნიშნულ პუნქტში მითითებული წესით გათვალისწინებული თანხმობით.

8.2. კლიენტის (გადამხდელის) თანხმობა წარდგენილ უნდა იქნეს გადახდის ოპერაციის შესრულებამდე. კლიენტსა (გადამხდელსა) და Paysera-ს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე, გადახდის ოპერაცია შეიძლება იყოს ავტორიზებული, ანუ კლიენტის ასეთი თანხმობა შეიძლება მიღებულ იქნეს გადახდის ოპერაციის შესრულების შემდეგ.

8.3. კლიენტი თანახმაა, რომ საგადახდო დავალების შესრულებისას Paysera დავალებაში მითითებულ ინფორმაციას (კლიენტის პერსონალური მონაცემების ჩათვლით) გადასცემს გადახდის ოპერაციის განხორციელებასთან უშუალოდ დაკავშირებულ პირებს, როგორიცაა საგადახდო ბარათების საერთაშორისო ორგანიზაციები, კომპანიები, რომლებიც ამუშავებენ ინფორმაციას საგადახდო ბარათებით გადახდების შესახებ, მიმღების საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, გადახდის ოპერაციის განხორციელების საგადახდო სისტემის ოპერატორი, მიმღების საგადახდო მომსახურების პროვაიდერის შუამავლები/აგენტები, გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერი და მიმღები.

8.4. საგადახდო დავალების გამოთხოვის პროცედურა:

8.4.1. საგადახდო დავალების გამოთხოვა შეუძლებელია Paysera-ს მიერ მისი მიღების შემდეგ, გარდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4.2. თუ საგადახდო დავალება ინიციირებულია მიმღების მიერ ან მიმღების მეშვეობით (მაგ. გადახდა ბარათით) ან გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერის მიერ, გადამხდელი არ აქვს უფლება გამოითხოვოს საგადახდო დავალება მისი შესასრულებლად წარდგენის (გაგზავნის) შემდეგ, გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერისთვის გადამხდელის მიერ გადახდის ოპერაციის ინიციირებაზე თანხმობის გაცემის ან გადამხდელის მიერ მიმღებისთვის გადახდის ოპერაციის შესრულებაზე თანხმობის გაცემის შემდეგ;

8.4.3. ხელშეკრულების 5.23.4 პუნქტით გათვალისწინებული საგადახდო დავალება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს Paysera-ს სამუშაო დღის ბოლომდე, არაუგვიანეს შეთანხმებულ დღემდე ერთი დღით ადრე;

8.4.4. ხელშეკრულების 8.4.1-8.4.3 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების გასვლის შემდეგ საგადახდო დავალება შეიძლება გამოთხოვილ იქნას მხოლოდ კლიენტისა (გადამხდელის) და Paysera-ს შორის შესაბამისი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში. ხოლო ხელშეკრულების 8.4.2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ასევე, აუცილებელია მიმღების თანხმობა;

8.4.5. თუ გადარიცხვის ოპერაცია ინიციირებულია მიმღების მიერ ან მიმღების საშუალებით გადახდის ოპერაციის საგადახდო ბარათით განხორციელებისას და გადახდის ოპერაციის შესრულებაზე გადამხდელის მიერ მიერ თანხმობის გაცემის მომენტში ცნობილი არ არის გადახდის ოპერაციის ზუსტი თანხა, Paysera გადამხდელის ანგარიშზე შეძლებს თანხის დაბლოკვას იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელს დასაბლოკი თანხის განსაზღვრულ ოდენობაზე აქვს თანხმობა გაცემული. ოპერაციის ზუსტი თანხის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, Paysera დაუყოვნებლივ და არა უგვიანეს საგადახდო დავალების მიღებისთანავე, განბლოკავს გადამხდელის ანგარიშზე დაბლოკილ თანხას.

8.5. Paysera განთავსებს თანხებს ანგარიშზე და ჩამოჭრის/გადარიცხავს მათ ანგარიშიდან საგადახდო დავალებაში მითითებული უნიკალური იდენტიფიკატორის მიხედვით - Paysera-ს ანგარიშის ნომერი ან IBAN-ის სტანდარტის ანგარიშის ნომერი. Paysera-ს აქვს უფლება, მაგრამ არა ვალდებულება, შეამოწმოს, შეესაბამება თუ არა Paysera-ს მიერ მიღებულ დავალებაში მოცემული უნიკალური იდენტიფიკატორი ანგარიშის მფლობელის სახელსა და გვარს (ანგარიშის მფლობელის სახელწოდებას). თუ აღნიშნული უნიკალური იდენტიფიკატორი მიწოდებულია ანგარიშდან Paysera ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად ან გადასარიცხად, საგადახდო დავალება ითვლება სათანადოდ შესრულებულად, თუ იგი შესრულებულია მითითებული უნიკალური იდენტიფიკატორის მიხედვით. თუ Paysera ამოწმებს საგადახდო დავალებას და ადგენს აშკარა შეუსაბამობას Paysera-ს მიერ მიწოდებულ უნიკალურ იდენტიფიკატორსა და ანგარიშის მფლობელის სახელსა და გვარს (ანგარიშის მფლობელის სახელწოდებას) შორის, Paysera-ს უფლება აქვს უარი თქვას ასეთი გადახდის ოპერაციის შესრულებაზე.

8.6. 8.6. როდესაც Paysera მიიღებს საგადახდო დავალებას, თანხის საგადახდო მომსახურების სხვა პროვაიდერთან არსებულ ანგარიშზე გადარიცხვის შესახებ, Paysera ამგვარ გადახდის ოპერაციას შეასრულებს მიღებულ დავალებაში მოცემული უნიკალური იდენტიფიკატორის მიხედვით - მიმღების ანგარიშის ნომერი IBAN ფორმატში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგადახდო მომსახურების პროვაიდერი არ იყენებს IBAN ანგარიშის ფორმატს. Paysera-ს არ ეკისრება პასუხისმგებლობა, თუ უნიკალური იდენტიფიკატორი არ არის მოწოდებული საგადახდო დავალებაში ან ის არასწორია და/ან მიმღების საგადახდო მომსახურების პროვაიდერმა დაადგინა განსხვავებული უნიკალური იდენტიფიკატორი გადახდის ოპერაციის სათანადო შესრულებისთვის (თანხის ჩარიცხვა მიმღების საგადახდო ანგარიშზე).

8.7. საჭიროების შემთხვევაში ან/და სხვა სახელმწიფოს დაწესებულების/ინსტიტუტების მოთხოვნის შემთხვევაში, Paysera-ს უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია (მაგ. მიმღების სახელი და გვარი, ან დასახელება, გადახდის კოდი), რომელიც აუცილებელია გადახდის ოპერაციის სათანადოდ შესრულებისათვის.

9. აკრძალული საქმიანობა

9.1. კლიენტს, რომელიც სარგებლობს Paysera-ს მომსახურებებით ეკრძალება:

9.1.1. ხელშეკრულების პირობებთან, ხელშეკრულების დანართებთან, კანონმდებლობის და სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნებთან, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მოთხოვნებთან შეუსაბამობა/მათ

დარღვევა;

9.1.2. Paysera-ს და მესამე მხარის სავაჭრო ნიშნებზე უფლებების, საავტორო უფლებების, კომერციულ საიდუმლოებისა და სხვა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევა;

9.1.3. Paysera-სთვის ყალბი, შეცდომაში შემყვანი ან არასწორი ინფორმაციის მიწოდება; უარის თქმა ინფორმაციის მიწოდებაზე ან სხვა ქმედებების განხორციელებაზე, რომლებიც გონივრული საფუძვლით არის მოთხოვნილი Paysera-ს მიერ;

9.1.4. მესამე პირებისთვის Paysera-ს და Paysera-სთან თანამშრომლობის შესახებ ყალბი, შეცდომაში შემყვანი ან არასწორი ინფორმაციის მიწოდება;

9.1.5. სახსრების გადარიცხვება ან მიღება, თუ კლიენტმა იცის ან უნდა სცოდნოდა, რომ აღნიშნული სახრები მიღებულია უკანონო გზით;

9.1.6. Paysera-ს მომსახურებით სარგებლობა, როდესაც ეს Paysera-ს ან მესამე პირების აყენებს ზიანს, იწვევს მათ პასუხისმგებლობას ან სხვა უარყოფით სამართლებრივ ან ფინანსურ შედეგებს ან ზიანს აყენებს მათ საქმიან რეპუტაციას;

9.1.7. Paysera-ს მომსახურებით სარგებლობა, თუ კლიენტი, მისი წარმომადგენელი, ბენეფიციარი მფლობელი, შესრულებული ან მიღებული გადარიცხვა შეესაბამება Paysera-ს მომსახურების მიწოდების შეზღუდვების ჩამონათვალში მითითებულ კრიტერიუმებს; (Paysera-ს მომსახურების მიწოდების შეზღუდვების ჩამონათვალი ხელმისაწვდომიავებგვერდზე);

9.1.8. კომპიუტერული ვირუსების გავრცელება და სხვა ქმედებების განხორციელება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სისტემის გაუმართაობა, ინფორმაციის დაზიანება ან განადგურება და Paysera-ს სისტემის, აღჭურვილობის ან ინფორმაციის სხვა სახის დაზიანება;

9.1.9. ნებისმიერი სხვა მიზანმიმართული ქმედების განხორციელება, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს კლიენტისთვის ან მესამე პირებისათვის Paysera-ს მომსახურების მიწოდებას ან სისტემის გამართულ ფუნქციონირებას;

9.1.10. არალეგალური აზარტული თამაშების ორგანიზება, აქციებით, ინდექსებით, ნედლეულით, ვალუტით (მაგ. Forex), ოფციონებით, საბირჟო ვაჭრობის ფონდებით (ETF) უკანონო ვაჭრობა; ვაჭრობის, ინვესტიციების ან სხვა მომსახურების გაწევა სავალუტის ო ბირჟებზე, Forex-ის ბაზრებზე და ელექტრონული ვალუტით ვაჭრობის სხვა სისტემებზე; თამბაქოს ნაწარმით, ალკოჰოლით, რეცეპტით გასაცემი წამლებით, სტეროიდებით, იარაღის, ნარკოტიკული ნივთიერებებისა და მასთან დაკავშირებული ატრიბუტებით , პორნოგრაფიული შინაარსის პროდუქციით არალიცენზირებული ლატარიის ბილეთებით, არალეგალური პროგრამული უზრუნველყოფით უკანონო ვაჭრობა და კანონით აკრძალული სხვა ქმედებების განხორციელება;

9.1.11. გადახდების მიღება არარეგულირებად ან/და არაკონტროლირებად ვირტუალურ ვალუტაში, მისი შეძენა, კონვერტაცია ან სხვა გზით განკარგვა (აკრძალვა მოიცავს გადარიცხვების შესრულებას ან მიღებას ვირტუალური ვალუტის გადამცვლელებისგან, ე.ი შემთხვევები, როდესაც გადარიცხვის განხორციელება ან მიღება ხორციელდება რეგულიებად ვალუტაში, თუმცა, ასეთი გადარიცხვა დაკავშირებულია ვირტუაური ვალუტის გადამცვლელებთან);

9.1.12. Paysera-ს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, ფინანსური მომსახურების გაწევა ან/და აქციებით, ინდექსებით, ნედლეულით, ვალუტებით (მაგ. Forex), ოფციებით, საბირჟო ვაჭრობის ფონდებით (ETF) კანონიერი ვაჭრობის ორგანიზება, ვაჭრობის, ინვესტირების ან სხვა მომსახურების განხორციელება სავალუტო ბირჟებზე, Forex-ის ბაზრებზე და ელექტრონული ვალუტით ვაჭრობის სხვა სისტემებზე. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი აპირებს ფინანსური მომსახურების გაწევას Paysera-ს ანგარიშის გამოყენებით, მას უნდა ჰქონდეს მოქმედი ლიცენზია, (ნებართვა) გაცემული ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ან მესამე ქვეყნის მიერ, რომელმაც დააწესა ანალოგიური ან თანაბარი მოთხოვნები და აღნიშნული მოთხოვნების შესრულება ექვემდებარე კონტროლს ამისთვის დანიშნული კომპეტენტური ორგანოების მიერ.

9.1.13. Paysera-ს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე ლეგალური აზარტული თამაშების, ლატარიების, სხვა საქმიანობის განხორციელება , რომლებიც ექვემდებარება ლიცენზირებას ნებართვას ის მიღებას). თუ კლიენტი აპირებს აღნიშნული მომსახურების გაწევას Paysera-ს ანგარიშის გამოყენებით, მას უნდა ჰქონდეს მოქმედი ლიცენზია (ნებართვა), გაცემული ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ ან მესამე ქვეყნის მიერ, რომელმაც დააწესა ანალოგიური ან თანაბარიმოთხოვნები და აღნიშნული მოთხოვნების შესრულება ექვემდებარე კონტროლს ამისთვის დანიშნული კომპეტენტური ორგანოების მიერ.

9.1.14. ერთზე მეტი პროფილის ქონა; პროფილის რეგისტრაცია ფიქტიური ან სხვისი სახელით მინდობილობის გარეშე; პროფილის რეგისტრაცია სხვა პირების ან ვებ. გვერდების მიერ მოწოდებული ანონიმური ტელეფონის ნომრების ან ელ. ფოსტის მისამართების გამოყენებით;

9.1.15. მომსახურების გაწევა, რომელიც აკრძალულია კანონით ან ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგსა და მორალურ პრინციპებს;

9.1.16. სისტემაში შესვლა, როგორც ანონიმური მომხმარებელი (მაგ. Proxy-ის სერვერების ან ვირტუალური კერძო ქსელის (VPN) მეშვეობით), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც VPN გამოიყენება სტატიკური (მუდმივი) IP მისამართიდან, მონაცემთა გადაცემის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად);

9.1.17. პაროლებისა და გადახდის ინსტრუმენტების სხვა პერსონალიზებული უსაფრთხოების მახასიათებლების გამჟღავნება მესამე პირებისთვის და სხვა პირებისთვის კლიენტის სახელით მომსახურებით სარგებლობის უფლების მიცემა.

9.2. კლიენტი ვალდებულია აუნაზღაუროს Paysera-ს ნებისმიერიზარალი, ჯარიმა და სხვა ფინანსური სანქცია, რომელიც დაეკისრა Paysera-ს კლიენტის ბრალით პირობების შეუსრულებლობით, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების 9.1 პუნქტის პირობების შეუსრულებლობით.

9.3. კლიენტი პასუხისმგებელია და იღებს ვალდებულებას, აანაზღაუროს მის მიერ Paysera-ს მომსახურებით სარგებლობისა და წინამდებარე ხელშეკრულების ან მისი დანართების დარღვევის გამო Paysera-ს, Paysera-ს სხვა კლიენტებისა და მესამე მხარისთვის მიყენებული ზარალი. თუ აღმოჩნდება, რომ კლიენტის პროფილი შეიქმნა ყალბი ან არასწორი დოკუმენტების წარდგენით, კლიენტს ეკისრება პირგასამტეხლო 100 (ასი) ევროს ექვივალენტი ლარის ოდენობით (აღნიშნული ოდენობის თანხა ითვლება მინიმალურ დანაკარგად/ზიანად, რომელიც არ საჭიროებს დადასტურებას) რომელიც Paysera უფლებამოსილია ჩამოჭრას კლიენტის ანგარიშიდან. ზარალის უფრო დიდი ოდენობა დასაბუთებული უნდა იყოს წერილობითი მტკიცებულებით. უკანონო საქმიანობის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, Paysera ყველა შემთხვევაში მიმართავს სამართალდამცავ ორგანოებს.

10.მხარეთა მიერ შეტყობინებების გაგზავნა, კლიენტთან კომუნიკაცია და კონსულტაცია

10.1. კლიენტი ადასტურებს და ეთანხმება, რომ Paysera-ს მიერ შეტყობინების წარდგენა განხორციელდება Paysera-ს (სისტემის შესაბამის ვებ.გვერდზე) ვებ.გვერდზე მისი განთავსებისა და კლიენტის მიერ სისტემაში რეგისტრაციისას მითითებულ ელ.ფოსტის მისამართზე ან სისტემაში კლიენტის რეგისტრაციისას მითითებულ მისამართზე გაგზავნის, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს მითითებული აქვს მხოლოდ მობილური ტელეფონის ნომერი, მობილური ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის გზით. კლიენტი ადასტურებს, რომ Paysera-ს მიერ შეტყობინების ნებისმიერი ზემოაღნიშნული გზით წარდგენა, ჩაითვლება შეტყობინების სათანადო წარდგენად. შეტყობინებება ფოსტით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით იგზავნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კლიენტმა არ მიუთითა თავისი ელ.ფოსტის მისამართი. თუ შეტყობინება არ არის დაკავშირებული ხელშეკრულების პირობის არსებით ცვლილებასთან, ითვლება რომ კლიენტმა შეტყობინება მიიღო Paysera-ს ვებ.გვერდზე მისი განთავსებიდან, კლიენტისთვის ელ.ფოსტის მისარათზე ან მობილურ ტელეფონის ნომერზე შეტყობინების გაგზავნიდან 24 საათის განმავლობაში. თუ შეტყობინება წერილობითი დოკუმენტის სახით გაიგზავნა ფოსტით, ითვლება, რომ კლიენტმა ის მიიღო გაგზავნიდან ხუთ სამუშაო დღეში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი შეტყობინებას ფაქტობრივად მიიღებს ხელშეკრულების ამ ნაწილში განსაზღვრულ ვადაზე გვიან . ითვლება, რომ კლიენტისაგან შეტყობინებები (საჩივრები, მოთხოვნები ან პრეტენზიები) მიღებულია მათი წარდგენის დღეს, თუ ისინი წარდგენილია დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე (EET). მითითებულ ვადის შემდეგ გაგზავნილი შეტყობინებები მიღებულად ითვლება მომდევნო დღის 8:00 საათზე (EET).

10.2. თუ შეთანხმების მხარე წარმოდგენილია ერთობლივად რამდენიმე პირისაგან (ერთობლივი ანგარიშის მფლობელები, ა.შ.), Paysera-ს უფლება აქვს შეტყობინება წარუდგინოს აღნიშნულთაგან ნებისმიერ პირს. პირმა, რომელმაც მიიღო შეტყობინება/ინფორმაცია, ვალდებულია ის გადასცეს ხელშეკრულებაში მითითებულ დანარჩენ პირებს.

10.3. ითვლება, რომ კლიენტმა მიიღო შეტყობინება და ცვლილებები ძალაში შევა კლიენტისთვის შეტყობინების ელექტრონული ფოსტით ან კლიენტი მიერ რეგისტრაციისას მითითებული სხვა საშუალებით (ფოსტით ან SMS შეტყობინებით, რომელშიც მიეთითებულია შესაბამისი ვებ.გვერდის ბმული) გაგზავნიდან, წინამდებარე პუნტით განსაზღვრული 60 (სამოცი) დღიანი ვადის გასვლისთანავე. ინფორმაცია ხელშეკრულების პირობებში ცვლილებების შეტანის შესახებ დამატებით ქვეყნდება სისტემის ვებ გვერდზე.

10.4. შეტყობინებების 60 (სამოცი) დღიანი ვადა არ ვრცელდება და შეტყობინების მიწოდება განხორციელდება 10.1 პუნქტით გათვალისწინებული წესით, თუ:

10.4.1. ხელშეკრულების პირობები იცვლება კანონმდებლობის იმპერატიული მოთხოვნების ცვლილების გამო;

10.4.2. მომსახურების ტარიფები მცირდება ან ხელშეკრულების პირობები იცვლება კლიენტის სასარგებლოდ;

10.4.3. დაემატა ახალი მომსახურება ან არსებული მომსახურების ნაწილი, რომლითა სარგებლობაც კლიენტის სურვილზე იქნება დამოკიდებული.

10.5. ხელშეკრულების არაარსებით ცვლილებებად განიხილება სტილისტიკური და გრამატიკული შესწორებები, წინადადების, პუნქტის ან მუხლის პერიფრაზირება და გადატანა ხელშეკრულების უკეთ გასაგებად; მუხლების მაგალითების მიწოდება და სხვა ცვლილებები, რომლებიც არ ამცირებს ან ზღუდავს კლიენტის უფლებებს და არ ზრდის კლიენტის პასუხისმგებლობას ან არ ამძიმებს მის მდგომარეობას.

10.6. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილების შესახებ ინფორმაციის დროულად მიღების მიზნით, კლიენტი ვალდებულია რეგულარულად, მინიმუმ დღეში ერთხელ, შეამოწმოს სისტემის ვებ.გვერდი, საკუთარი ელ.ფოსტა და შეტყობინებების მიღების სხვა საშუალებები, რომლებიც მითითებულია პროფილში.

10.7. მხარეთა შორის კომუნიკაცია/შეტყობინება ხორციელდება დაშვებულ ენაზე ან იმ ენაზე, რომელზეც ხელშეკრულება ხელმისაწვდომი გახდა კლიენტისთვის.

10.8. კლიენტი იღებს ვალდებულებას საკუთარ პროფილში ასახოს და ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ განაახლოს საკონტაქტო მონაცემები (ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტის მისამართი და მისამართი), რომლის საშუალებით, Paysera-ს შეუძლია ოპერატიულად დაუკავშირდეს კლიენტს ან მის წარმომადგენელს. თუ კლიენტი არ განაახლებს საკონტაქტო მონაცემებს საკუთარ პროფილზე, კლიენტს ეკისრება პასუხისმგებლობა ნებისმიერ შედეგზე, რომელიც გამოწვეულია Paysera-გან შეტყობინების მიუღებლობით.

10.9. კლიენტის ფულადი სახსრების მესამე პირის შესაძლო უკანონო ქმედებებისგან დაცვის მიზნით, კლიენტი ვალდებულია, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს Paysera-ს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების დაკარგვისა ან ქურდობის შესახებ.

10.10. კლიენტს შეუძლია მიიღოს კონსულტაცია სისტემის და ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხთან დაკავშირებით, Paysera-ს ვებ.გვერდზე მითითებულ ელ.ფოსტის მისამართზე შეკითხვის გაგზავნის, კლიენტთა მხარდაჭერის სამსახურთან ზარის განხორციელების ან პროფილში მოთხოვნის ფორმის შევსების გზით. კლიენტის შეტყობინებები, რომლებიც დაკავშირებულია წინამდებარე ხელშეკრულებასთან, უნდა გაიგზავნოს Paysera-ს ვებ.გვერდზე მითითებულ ელ.ფოსტის მისამართზე ან ხელშეკრულებაში მითითებულ Paysera-ს მისამართზე. ყველა შეტყობინება უნდა გაეგზავნოს Paysera-ს, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის ამ შეთანხმებით განსაზღვრული Paysera სერვისების უშალო მიმწოდებელი.

10.11. Paysera ვალდებულია, ხელშეკრულების 10.1 პუნქტში მითითებული პროცედურის შესაბამისად, წინასწარ აცნობოს კლიენტს სისტემ(ებ)ის ან Paysera-ს მიერ მომსახურების მიწოდებაში მონაწილე მესამე პირების სისტემების ან/და აღჭურვილობის ცნობილი და შესაძლო ტექნიკური გაუმართაობის შესახებ, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს Paysera-ს მომსახურების გაწევაზე.

10.12. Paysera-ს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეცვალოს მომსახურების ინტეგრაციის ტექნიკური გადაწყვეტილება. აღნიშნული სახის ნებისმიერი ცვლილების შესახებ შეტყობინება, რომელიც საჭიროებს შესწორებებს კლიენტის პროგრამულ უზრუნველყოფაში, იგზავნება ცვლილების დანერგვამდე არაუგვიანეს 90 (ოთხმოცდაათი) დღით ადრე. ცვლილებები, რომლებიც საჭიროა კლიენტის მხრიდან, ხორციელდება კლიენტის ხარჯზე.

10.13. მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ ერთმანეთს ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელიც გავლენას ახდენს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე. კლიენტი ვალდებულია წარადგინოს ამგვარი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები (მაგ. სახელის, გვარის, ხელმოწერის, ტელეფონის ნომრის, მისამართის, ელ.ფოსტის მისამართის და სხვა საკონტაქტო მონაცემების ცვლილება; პირადი დოკუმენტები ან იმ პირის პირადობის დამდასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან განკარგონ ანგარიშზე არსებული თანხები; კლიენტის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების დაწყება და ა.შ.) მიუხედავად იმისა, ეს ინფორმაცია უკვე აისახა თუ არა საჯარო ან შესაბამის რეესტრში.

10.14. Paysera-ს უფლება აქვს, მოითხოვოს საზღვარგარეთ შედგენილი დოკუმენტების თარგმნა, ლეგალიზება ან აპოსტილით დამოწმება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონმდებლობით/საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არის განსაზღვრული.

10.15. Paysera-სთვის წარსადგენი დოკუმენტების შედგენის, წარდგენის, დადასტურების და თარგმნის ხარჯი ეკისრება კლიენტს.

10.16. კლიენტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გაეცნოს ხელშეკრულების მოქმედ რედაქციას, მის დანართებსა და ტარიფებს Paysera-ს ვებ. გვერდზე.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. Paysera-ს უფლება აქვს ცალმხრივად შეიტანის ცვლილებები და დამატებები ხელშეკრულებაში წინამდებარე ხელშეკრულების მე-10 მუხლით დადგენილი წესით.

11.2. კლიენტს უფლება არ აქვს ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები და დამატებები ხელშეკრულებაში.

11.3. კლიენტს უფლება აქვს დაეთანხმოს ცვლლებებს ან უარი თქვას Paysera-ს მიერ ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებებზე, ცვლილებების ამოქმედებამდე Paysera-თვის შეტყობინების წარდგენის გზით. თუ კლიენტი არ აცნობებს Paysera-ს ცვლილებაზე უარის შესახებ მათი ძალაში შესვლის მომენტამდე, ჩაითვლება, რომ კლიენტი ეთანხმება ხელშეკრულებაში შეტანილ ცვლილებებს და ისინი ამოქმედდება მათი ძალაში შესვლისათვის განსაზღვრულ დღეს. თუ კლიენტი აცნობებს Paysera-ს ცვლილებებზე უარის შესახებ, მხარეების მიერ აღნიშნული განიხილება, როგორც კლიენტის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა ხელშეკრულებას 12.12 პუნქტში განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად და მიმდინარე პირობები იმოქმედებს კლიენტზე დათქმული დროის, 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის, განმავლობაში.

11.4. ხელშეკრულების დანართში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება შესაბამის დანართში განსაზღვრული წესის თანახმად. თუ დანართით არ არის განსაზღვრული ცლილებისა და დამატების შეტანის პირობები, გამოიყენება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ცვლილებისა და დამატების შეტანისა და აღნიშნული შესახებ შეტყობინების პირობები.

11.5. მხარეებს შეუძლიათ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე განსაზღვრონ დამატებითი პირობები რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით ან დანართებით ან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ან დანართებისაგან განსხვავებული პირობები. აღნიშნული შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, Paysera ამზადებს შეთანხმების (შეთანხმება შეიძლება წარმოდგენილ იქნას დეკლარაციის ფორმით) პროექტს და უგზავნის მას კლიენტს ელ.ფოსტით ან ფაქსით. თუ კლიენტი ეთანხმება შეთანხმების პირობებს, ის ხელს მას და შეთანხების სკანებერებულ ვერსიას უგზავნის Paysera-ს ელ.ფოსტით ან ფაქსით. Paysera-ს უფლება აქვს, მოითხოვოს კლიენტის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის დედნის ფოსტით გამოგზავნა. აღნიშნული შეთანხმება ძალაში შედის Paysera-ს მიერ ხელმოწერილი შეთანხმების დედნის მიღების შემდეგ ე.ი Paysera-ს ხელმოწერა შეთანხმებაზე არ არის აუცილებელი და Paysera არ არის ვალდებული, კლიენტს ხელმოწერილი დოკუმენტი უკან გაუგზავნოს.

12. მომსახურების შეჩერება. ხელშეკრულების გაუქმება (პროფილის წაშლა)

12.1. Paysera-ს, საკუთარი შეხედულებისამებრ და კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით, Paysera-ს საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებლივი აქტებისა და კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით, აქვს უფლება ცალმხრივად და წინასწარი შეტყობინების გარეშე, განახორციელოს ერთი ან რამდენიმე შემდეგი ქმედება:

12.1.1. შეაჩეროს ერთი ან რამდენიმე გადარიცხვა;

12.1.2. სრულად ან ნაწილობრივ შეაჩეროს/შეწყვიტოს კლიენტისთვის მომსახურების გაწევა;

12.1.3. შეზღუდოს კლიენტის წვდომა პროფილზე;

12.1.4. დააკავოს კლიენტის თანხები, რომლებიც დავის/განხილვის საგანია;

12.1.5. დაბლოკოს ანგარიში (ე.ი. სრულად ან ნაწილობრივ შეზღუდოს გადახდის ოპერაციები ანგარიშზე) და/ან საგადახდო ინსტრუმენტი (ე.ი. სრულად ან ნაწილობრივ აკრძალოს საგადახდო ინსტრუმენტის გამოყენება);

12.1.6. უარი განაცხადოს მომსახურების გაწევაზე;

12.1.7. კლიენტის ანგარიშზე დაბლოკილი სახსრები დააბრუნოს თანხების თავდაპირველ გადმომგზავნთან (გადამხდელთან);

12.2. წინამდებარე ხელშეკრულების 12.1.1-12.1.7 პუნქტებით განსაზღვრული ზომები შესაძლოა გამოყენებულ იქნას შემდეგ შემთხვევებში:

12.2.1. თუ კლიენტი არსებითად არღვევს ხელშეკრულებას ან მის დანართს, ან წარმოიქმნება კლიენტის მიერ ხელშეკრულების ან მისი დანართის არსებითი დარღვევის რეალური საფრთხე;

12.2.2. თუ კლიენტის საქმიანობამ, რომელსაც ის ახორციელებს Paysera ანგარიშის გამოყენებით შეუძლია მიაყენოს ზიანი Paysera-ს საქმიან რეპუტაციას;

12.2.3. თუ კლიენტი არ ასრულებს იდენტიფიკაციის აუცილებელ პროცედურებს, ან არ წარადგენს Paysera-ს მიერ მოთხოვნილი აუცილებელ ინფორმაციას, ან წარადგენს ინფორმაციას ან დოკუმენტებს, რომელიც არ შეესაბამება კანონმდებლობის ან Paysera-ს მოთხოვნებს, ან Paysera-ს აქვს საფუძვლიანი ვარაუდი წარმოდგენილი დოკუმენტების უტყუარობასა ან ნამდვილობასთან დაკავშირებით, ან Paysera-ს აქვს საფუძვლიანი ვარაუდი, კლიენტის მიერ ხელშეკრულების მე-9 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებით;

12.2.4. თუ კლიენტისათვის მომსახურებისა გაწევამ და კლიენტის საქმიანობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს მესამე პირთა ინტერესებს;

12.2.5. თუ გადახდის ინსტრუმენტის ან/და ანგარიშზე არსებული სახსრების უსაფრთხოების ობიექტურად დასაბუთებული მიზეზების გამო არსებობს გადახდის ინსტრუმენტის ან/და ანგარიშზე არსებული სახსრების არაავტორიზებული ან თაღლითური გამოყენების ვარაუდი;

12.2.6. თუ Paysera-თვის ცნობილი გახდება გადახდის ინსტრუმენტის ქურდობის ან დაკარგვის შესახებ; გადახდის ინსტრუმენტის უკანონო შეძენის ან არაავტორიზებულ გამოყენები ფაქტის დადასტურების ან ვარაუდის არსებობისას; თუ დადასტურდა ფაქტი ან არსებობს ვარაუდი, რომ გადახდის ინსტრუმენტის უსაფრთხოების პერსონიფიცირებული მახასიათებლები (პიროვნების დადასტურების ინსტრუმენტების ჩათვლით (ავთენთიფიკაციის საშუალებების), ცნობილი გახდა ან შესაძლოა გამოყენებულ იქნას მესამე პირის მიერ; თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ სახსრები ან/და გადახდის ინსტრუმენტი შეიძლება უკანონოდ გამოიყენონ მესამე პირებმა, ან ანგარიში ან/და გადახდის ინსტრუმენტი შეიძლება გამოყენებულ იქნას უკანონო საქმიანობისთვის;

12.2.7. თუ Paysera მიიღებს დადასტურებულ ინფორმაციას კლიენტის გარდაცვალების ან გაკოტრების შესახებ;

12.2.8. კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში;

12.2.9. ხელშეკრულებით ან მისი დანართით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში;

12.3. ხელშეკრულების 12.1.7 პუნქტში მითითებული ქმედება შეიძლება განხორციელდეს კლიენტის მიმართ იმ შემთხვევაში, თუ Paysera-ს აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ კლიენტი ეწევა/ჩართულია თაღლითურ საქმიანობაში. აღნიშნულ შემთხვევაში, კლენტს ჯერ ეზღუდება ანგარიშზე არსებული გადმომრიცხავის (გადამხდლის) მიერ ჩარიცხული სახსრების განკარგვის უფლება (თანხა იბლოკება) და თუ კლიენტი არ შეასრულებს აუცილებელ ქმედებებს (დამატებითი არ გაივლის აიდენტიფიკაცის პროცედურას, არ წარმოადგენს მოთხოვნილ დოკუმენტებს) ან დადგენილ ვადაში არ წარმოადგეს აღნიშნული შემთხვევის დასაბუთებულ განმარტებას/საფუძველს, აღნიშნული თანხა შეიძლება დაუბრუნდეს თანხის გადმომრიცხავს (გადამხდელს). აღნიშნული ქმედება, ასევე შესაძლოა, განხორციელდეს, Paysera-სთვის წარდგენილი, თანხის გადამხდელის ანგარიშზე დაბრუნების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნის (შესაბამისი დოკუმენტის) საფუძველზე.

12.4. ხელშეკრულების 12.1 პუნქტით განსაზღვრული შეზღუდვების მიზანია დაიცვას Paysera, მესამე პირები და კლიენტი შესაძლო

ფინანსური სანქციების, დანაკარგებისა და სხვა არასასურველი შედეგებისგან.

12.5. ხელშეკრულების 12.1 პუნქტით განსაზღრული ზომის გამოყენების შესახებ, Paysera კლიენტს აცნობებს დაუყოვნებლივ (ერთი საათის განმავლობაში), ხოლო სახსრების კლიენტისათვის დაბრუნების შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, კლიენტს ეცნობება მომსახურების შეჩერების/შეწყვეტის მომენტიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ინფორმაციის მიწოდება შეასუსტებს უსაფრთხოების ზომებს ან აკრძალულია კანონით;

12.6. კლიენტის ან მისი ანგარიშის მეშვეობით ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების ან სხვა დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელების საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, Paysera-ს უფლება აქვს სრულად ან ნაწილობრივ შეაჩეროს კლიენტისთვის მომსახურების გაწევა 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში, აღნიშნული ვადის შეუზღუდავი რაოდენობით გახანგრძლივების უფლებით, გონივრული ეჭვის სრულად გაქარწყლებამდე ან დადასტურებამდე.

12.7. თუ Paysera-ს აქვს ანგარიშზე ან კლიენტის პროფილზე არასანქცირებული წვდომის საფუძვლიანი ეჭვი, Paysera-ს უფლება აქვს, სრულად ან ნაწილობრივ, წინასწარი შეტყობინების გარეშე, შეაჩეროს კლიენტის მომსახურება. აღნიშნულ შემთხვევაში, Paysera ატყობინებს კლიენტს მომსახურების შეჩერების შესახებ და აწვდის ინფორმაციას თუ რა ქმედებები უნდა განახორციელოს კლიენტმა, შეჩერებული მომსახურების განახლებისათვის.

12.8. Paysera აუქმებს ანგარიშის და/ან გადახდის ინსტრუმენტის ბლოკირებას (ან ცვლის გადახდის ინსტრუმენტს ახლით), როდესაც მათი დაბლოკვის მიზეზი აღმოიფხვრება.

12.9. ანგარიში და/ან გადახდის ინსტრუმენტი კლიენტის ინიციატივით იბლოკება, თუ კლიენტი Paysera-ს წარუდგენს შესაბამის მოთხოვნას ან აცნობებს, რომ კლიენტის გადახდის ინსტრუმენტი მოიპარეს ან დაიკარგა, ან ანგარიშზე არსებული თანხები და/ან გადახდის ინსტრუმენტი გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებულ იქნას არაკანონიერი გზით. Paysera-ს უფლება აქვ მოითხოვოს ანგარიშის ან/და გადახდის ინსტრუმენტის დაბლოკვის ზეპირი მოთხოვნის, კლიენტის მიერ, მოგვიანებით, წერილობით ან Paysera-თვის მისაღები სხვა გზით დადასტურება. თუ ანგარიში და/ან გადახდის ინსტრუმენტი დაიბლოკა კლიენტის ინიციატივით, Paysera-ს უფლება აქვს გააუქმოს დაბლოკვა მხოლოდ კლიენტისგან წერილობითი მოთხოვნის მიღების შემდეგ ან გამოიყენოს კლიენტის იდენტიფიკაციის სხვა პროცედურები, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. Paysera-ს უფლება აქვს ჩაანაცვლოს დაბლოკილი საგადახდო ინსტრუმენტი ახლით.

12.10. Paysera არ არის პასუხისმგებელი კლიენტისთვის მომსახურების გაწევის შეჩერებით/ შეწყვეტით, ანგარიშის და/ან გადახდის ინსტრუმენტის დაბლოკვით ან სხვა ქმედებებით გამოწვეულ ზიანზე, თუ აღნიშნული ქმედებები განხორციელდა ხელშეკრულებაში ან მის დანართებში განსაძრვრული წესით და საფუძვლით.

12.11. კანონით დადგენილი პროცედურის დაცვით, Paysera-ს უფლება აქვს დააკავოს გადასარიცხი თანხა 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში ან უფრო ხანგრძლივი ვადით, რომელიც განსაზღვრულია კანონით, ხელშეკრულებით ან მისი დანართით;

12.12. კლიენტს უფლება აქვს ცალმხრივად, სასამართლოში გასაჩივრების გარეშე, შეწყვიტოს ხელშეკრულება აღნიშნულის შესახებ Paysera-სთვის 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წერილობით შეტყობინების საფუძველზე. თუ კლიენტი შეწყვეტს ხელშეკრულებას, გაცემული ელექტრონული ანგარიშზე არსებული თანხა უბრუნდება კლიენტს მის მიერ არჩეული საშუალებით (მითითებულია ხელშეკრულებაში), წწინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

12.13. Paysera-ს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მისი დანართები, ასევე უარი თქვას მომსახურების გაწევაზე მიზეზის მითითების გარეშე, აღნიშნულის შესახებ კლიენტის, წინამდებარე ხელშეკრულების მე-10 მუხლით განსაზღვრული წესით, 60 (სამოცი) დღით ადრე შეტყობინების გზით. Paysera-ს ასევე უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მისი დანართები, უარი თქვას მომსახურების გაწევაზე, წინამდებარე ხელშეკრულების 12.2 პუნქტით განსაზღვრული საფუძვლით, კლიენტის 30 (ოცდაათი) დღით ადრე, ხელშეკრულების მე-10 მუხლით განსაზღვრული წესით შეტობინების გზით. იმ შემთხვევებში, თთუ აღმოჩნდება, რომ კლიენტი ახორციელებს დანაშაულებრი ან/და უკანონო ქმედებას ანგარიშის მეშვეობით, Paysera-ს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება აღნიშნულის შესახებ 5 დღით ადრე გაგზავნილი გაფრთხილების საფუძველზე.

12.14. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, Paysera კლიენტის ანგარიშიდან ჩამოჭრის მისთვის გაწეული მომსახურებების საფასურს, ასევე კლიენტის მიზეზით გადახდილი ჯარიმების/პირგასამტეხლოს და იმ დანაკარგების, ზარალის და სხვა თანხებს, რომლებიც Paysera-ს მიადგა კლიენტის კლიენტის მიზეზით. თუ კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე არსებული თანხა არასაკმარისია წინამდებარე პუნქტით განსაზღვრულო თანხის დასაფარად, კლიენტი იღებს ვალდებულებას, საჭირო თანხა ჩარიცხოს Paysera-ს მიერ ანგარიშზე 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუ Paysera დაიბრუნებს მესამე პირებისთვის გადახდილი თანხის ნაწილს, ის ვალდებულებას იღებს, დაუბრუნოს კლიენტს აღნიშნული ოდენობის თანხა.

12.15. გენერალური ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს კლიენტს Paysera-ს მიმართ ყველა იმ ვალდებულების სათანადო შესრულებისგან, რომელიც წარმოიშვა მის შეწყვეტამდე.

12.16. Paysera-სა და კლიენტს შორის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, კლიენტი ირჩევს ელექტრონული ფულის გამოსყიდვის საშუალებებს. იმ შემთხვევაში, თუ მომმარებლის საიდენტიფიკაციო დონე არ შეესაბამება იმ დონეს, რომელიც აუცილებელია ელექტრონული ფულის სრულად გამოსყიდვისთვის, მან უნდა აირჩიოს სხვა საიდენტიფიკაციო დონე და განახორციელოს საჭირო მოქმედებები საიდენტიფიკაციო დონის შესაცვლელად. კლიენტი თანახმაა, შეასრულოს ელექტრონული ფულის გამოსყიდვისთვის აუცილებელი ქმედებები და ესმის, რომ ასეთი საშუალებები მიზნად ისახავს და მიმართულია Paysera თაღლითობის რისკის შემცირებისკენ და ფულის გათეთრების აღკვეთისა და სხვა სამართლებრივი მოთხოვნების დაცვისკენ.

12.17. იმ შემთხვევაში, თუ Paysera-სა და კლიენტს შორის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, კლიენტი არ აირჩევს ელექტრონული ფულის გამოსყიდვის საშუალებას და/ან არ დაასრულებს დამატებით იდენტიფიკაციის პროცედურას ლიმიტების გაზრდისთის, Paysera-ს შეუძლია

(მაგრამ არ არის ვალდებული) გამოისყიდოს კლიენტის ელექტრონული ფული, ელექტრონული ფულის გამოსყიდვის საშუალებით, რომელიც ხელმისაწვდომია გამოსყიდვის მომენტში.

13. კონფიდენციალურობა და მონაცემთა დაცვა

13.1. მხარეები იღებენ ვალდებულებას, საიდუმლოდ შეინახონ ერთმანეთის ტექნიკური და კომერციული ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისას, არ გადასცენ ინფორმაცია მესამე მხარეს ხელშეკრულების მეორე მხარის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციისა.

13.2. კლიენტი თანახმაა, Paysera-მ მართოს/დაამუშავოს მისი პერსონალური მონაცემები კლიენტისთვის მომსახურების მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულების მიზნით. მხარეები უზრუნველყოფენ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისას მიღებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოებას.

13.3. მონაცემთა შენახვისა და დაცვის საკითხები რეგულირდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დანართით , რომელსაც კლიენტი გაეცნო და იღებს მისი შესრულების ვალდებულებას.

13.4. კლიენტი იღებს ვალდებულებას, დაიცვას და არ გაუმჟღავნოს მესამე პირებს მის მიერ შექმნილი ან წინამდებარე ხელშეკრულებით მიწოდებული ნებისმიერი პაროლი ან გადახდის ინსტრუმენტების სხვა პერსონალიზებული უსაფრთხოების მახასიათებლები და არ მისცეს უფლება სხვა პირებს მისი სახელით ისარგებლონ მომსახურებით. თუ კლიენტმა განზრახ ან გაუფრთხილებლობით არ შეასრულა ეს ვალდებულება და/ან შეძლო, მაგრამ ხელი არ შეუშალა და/ან შეასრულა მსგავსი ქმედებები, კლიენტს ეკისრება სრული პასუხისმგელობა ზიანზე და იღებს ვალდებულებას აანაზღაუროს სხვა პირებისთვის მიყენებული ზიანი, რომელიც გამოწვეულია კლიენტის აღნიშნული ქმედებებით (მოქმედებით ან მათ უმოქმედობით).

13.5. კლიენტის მიერ მისი ანგარიშის პაროლის ან სხვა პაროლის დაკარგვის ან კლიენტის ან Paysera-ს ბრალეულობის გარეშე, პაროლ(ებ)ის გამჟღავნების შემთხვევაში, ან იმ შემთხვევაში, თუ რეალური საფრთხე დაემუქრა ან შეიძლება დაემუქროს კლიენტის პროფილს, კლიენტი იღებს ვალდებულებას დაუყოვნებლივ შეცვალოს პაროლები ან, თუ მას ამის შესაძლებლობა არ აქვს, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ (არაუგვიანეს ერთი კალენდარული დღისა) აცნობოს Paysera-ს მე-10 მუხლში მითითებული საშუალებებით. Paysera არ არის პასუხისმგებელი შეტყობინებების წარუმატებლობით/შეუტყობინებლობით გამოწვეულ შედეგებზე.

13.6. Paysera, ხელშეკრულების 13.5 პუნქტში მითითებული კლიენტის შეტყობინების მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ აჩერებს კლიენტის ანგარიშზე წვდომას და Paysera-ს სერვისების მიწოდებას, სანამ კლიენტს არ მიენიჭება ან არ შეიქმნება ახალი პაროლი.

13.7. Paysera კლიენტის ყურადღებას ამახვილებს ფაქტზე, რომ Paysera ანგარიშთან დაკავშირებული ელ.ფოსტა და ასევე სხვა ინსტრუმენტები (მაგ. მობილურის ნომერი), რომლებიც კლიენტის არჩევნით დაკავშირებულია მის Paysera ანგარიშთან, გამოიყენება როგორც კომუნიკაციის ან იდენტიფიკაციის საშუალებები. შესაბამისად, კლიენტმა უნდა უზრუნველყოს აღნიშნული ინსტრუმენტებისა და შესვლის უფლების მიმნიჭებელი მონაცემების დაცულობა. კლიენტი სრულად პასუხისმგებელია საკუთარი ელ.ფოსტის პაროლებისა და მის მიერ გამოყენებული ყველა სხვა ინსტრუმენტის უსაფრთხოებაზე, ასევე მათზე შესვლის პაროლებზე. პაროლი საიდუმლო ინფორმაცია, შესაბამისად, კლიენტი სრულად არის პასუხისმგებელი მის გამჟღავნებასა და ყველა იმ ოპერაციაზე, რომელიც ხორციელდება პაროლის შესაბამის პროფილზე შესვლის ან სხვა გადახდის ინსტრუმენტით სარგებლობისთვის გამოყენების შემდეგ. Paysera გირჩევთ, დაიმახსოვროთ პაროლები და არ ჩაიწეროთ ისინი, არ შეიყვანოთ ისეთ მოწყობილობებზე, სადაც მათი ნახვა შესაძლებელი იქნება სხვა პირებისთვისაც.

13.8. Paysera-ს უფლება აქვს გადასცეს კლიენტისა და მისი საქმიანობის შესახებ შეგროვებული ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია სხვა იურისდიქციის ქვეშ მოქმედ სამართალდამცავ ინსტიტუტებს, სხვა სახელმწიფო ორგანოებს (სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია (VMI), სოციალური დაზღვევის ფონდი (SODRA)) და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებს, თუ მსგავსი მოვალეობა განსაზღვრულია კანონმდებლობით და იმ მიზნით, რომ დადგინდეს დაირღვა თუ არა ეს ხელშეკრულება და შესაბამისი კანონმდებლობა.

13.9. კლიენტი Paysera-ს ანიჭებს უფლებას უშუალოდ ან მესამე პირების გამოყენებით მიიღოს აუცილებელი ზომები, მათ შორის, მაგრამ არ მხოლოდ, წარადგინოს მესამე მხარესთან საჭირო ცნობები, რათა დადგინდეს კლიენტის ვინაობა და სხვა მონაცემების სიზუსტე, რომლებიც წარდგენილია კლიენტის მიერ

13.10. Paysera აღნიშნავს რომ, ყველა შემთხვევაში, როგორც კლიენტის გადახდის სერვისის პროვაიდერი, ის არ უწევს და არ სთავაზობს რაიმე მომსახურებას მიმღებს კონკრეტულად, სანამ ის არ გახდება Paysera-ს კლიენტი.

13.11. Paysera-ს უფლება აქვს ჩაწეროს სატელეფონო საუბრები კლიენტთან. მხარეები თანხმდებიან, რომ სატელეფონო საუბრები, აგრეთვე ფოსტით და სატელეკომუნიკაციო სხვა საშუალებებით, ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შეტყობინებები შეიძლება ჩაითვალოს მტკიცებულებად მხარეებს შორის დავების გადაწყვეტისას. წინამდებარე ხელშეკრულებით, კლიენტი ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია და ეთანხმება Paysera-ს უფლებამოსილებას ჩაიწეროს ნებისმიერი სატელეფონო საუბარი კლიენტთან და/ან მის წარმომადგენელთან ცალკეული შეტყობინებისა და გაფრთხილების გარეშე. კლიენტს ასევე აქვს უფლება, ჩაწეროს და შეინახოს სატელეფონო საუბრები და სხვა კორესპონდენცია.

13.12. კლიენტი ინფორმირებულია და თანახმაა, რომ მისი ანგარიშის ნომერი და გადარიცხვის განსახორციელებლად საჭირო პერსონალური მონაცემები შეიძლება აღმოჩნდეს და გამოჩნდეს Paysera-ს სხვა მომხმარებლთან (User),კლიენტთან, რომელიც აპირებს კლიენტისთვის თანხის

გადარიცხვას, თუ Paysera-ს სხვა მომხმარებელი (User) შეიყვანს სისტემაში დადასტურებულ კლიენტის იდენტიფიკატორს (სახელსი, გვარი, საბანკო ანგარიშის ნომერი, ელ.ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი).

13.13. კლიენტის თანხმობით, მისი მონაცემები შეიძლება ასევე გადაეცეს გადარიცხვის ინიციირების ან ანგარიშის საინფორმაციო მომსახურების პროვაიდერ დაწესებულებებს. Paysera-მ შესაძლოა უარი უთხრას ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის მომსახურების პროვაიდერს ან გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერს კლიენტის ანგარიშზე წვდომაზე, ობიექტური და სათანადოდ დასაბუთებული მიზეზით, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნული ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის მომსახურების პროვაიდერის ან გადახდის ინიციირების პროვაიდერის მიერ აღნიშნულ ანგარიშზე არაავტორიზებულ ან არაკანონიერ წვდომასთან, რომელიც მოპოვებულია, მათ შორის არაავტორიზებული ან უსამართლო გადახდის ოპერაციის ინიციირების გზით. მსგავს შემთხვევებში Paysera აცნობებს კლიენტს ანგარიშზე წვდომის უარყოფასთან დაკავშირებით და განუმარტავს მიზეზებს. მსგავსი ინფორმაცია, თუ შესაძლებელია, კლიენტს უნდა მიეწოდოს ანგარიშზე წვდომის უარყოფამდე და არა უგვიანეს მასზე უარის თქმისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსგავსი ინფორმაციის მიწოდებამ შეიძლება შეასუსტოს უსაფრთხოების ზომები ან იკრძალება კანონმდებლობით.

14. მხარეთა პასუხისმგებლობა

14.1. თითოეული მხარე პასუხისმგებელია ყველა სახის ჯარიმაზე, ზარალსა და სხვა ზიანზე, რომელიც მეორე მხარეს ადგება ბრალეული მხარის მიერ შეთანხმების დარღვევის გამო. ბრალეული მხარე იღებს ვალდებულებას, აანაზღაუროს დაზარალებული მხარისთვის ასეთი დარღვევის გამო მიყენებული პირდაპირი ზიანი. ყველა შემთხვევაში, Paysera-ს პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით შემოიფარგლება შემდეგი დებულებებით:

14.1.1. Paysera პასუხს აგებს მხოლოდ პირდაპირი ზიანისათვის, რომელიც გამოწვეულია Paysera-ს მიერ დადებული ხელშეკრულების პირდაპირი და არსებითი დარღვევით და მხოლოდ იმ ზიანისთვის, რომელიც წინასწარ სავარაუდო/გათვალისწინებული შეიძლებოდა ყოფილიყო Paysera-ს მიერ ხელშეკრულების დარღვევის დროს;

14.1.2. Paysera-ს მიერ ხელშეკრულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს Paysera-ს მიერ კლიენტისთვის გაწეული მომსახურებისთვის ბოლო 3 (სამი) თვის განმავლობაში გადახდილი საკომისიოს საშუალოს. ეს შეზღუდვა ვრცელდება თვის ყველა დარღვევის საერთო ოდენობაზე. იმ შემთხვევაში, თუ 3 (სამი) თვის საშუალო ვერ გამოითვლება, ანაზღაურება არ შეიძლება აღემატებოდეს 2000 ევროს (ორი ათასი ევროს);

14.1.3. ყველა შემთხვევაში, Paysera არ იქნება პასუხისმგებელი კლიენტისთვის მოგებისა და შემოსავლის მიუღებლობაზე, კლიენტის რეპუტაციის შელახვაზე, მისი ბიზნესის დაკარგვაზე ან წარუმატებლობაზე და არაპირდაპირ ზიანზე;

14.1.4. Paysera-ს პასუხისმგებლობის შეზღუდვები არ გამოიყენება, თუ ასეთი შეზღუდვები აკრძალულია მოქმედი კანონმდებლობით;

14.2. . Paysera არ იძლევა გარანტიას სისტემის შეუფერხებელ ფუნქციონირებაზე, რადგან მის მუშაობაზე შეიძლება გავლენა იქონიოს (დაირღვას) მრავალმა ფაქტორმა, რომლებიც Paysera-ს კონტროლს მიღმაა. Paysera-მ უნდა გაიღოს მთელი ძალისხმევა, რათა უზრუნველყოს სისტემის გამართული მუშაობა, თუმცა იგი არ იღებს პასუხისმგებოლობას მისი მუშაობის დარღვევით წარმოქმნილ შედეგებზე, თუ კი მსგავსი დარღვევები მოხდა Paysera-ს ბრალს მიღმა.

14.3. სისტემამ შეიძლება არ იმუშაოს Paysera-ს კონტროლს დაქვემდებარებულიმიზეზების გამო და Paysera არ გადაიხდის რაიმე სახის კომპენსაციას სისტემის გაუმართაობისთვის, თუ სისტემა ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი იყო მთელი დროის 99% (ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი)-ზე მეტი პერიოდის განმავლობაში, რაც გამოითვლება სულ მცირე ბოლო 3 (სამი) თვის საშუალო მონაცემბით.

14.4. შემთხვევები, როდესაც Paysera ზღუდავს სისტემაზე წვდომას დროებით, არა უმეტეს 24 (ოცდაოთხი) საათისა, სისტემის შეკეთების, განვითარების და სხვა მსგავსი შემთხვევების გამო, რის შესახებაც Paysera აცნობებს კლიენტს მინიმუმ 2 (ორი) კალენდარული დღით ადრე, არ ჩაითვლება სისტემის ფუნქიცონირების დარღვევად.

14.5. Paysera არ არის პასუხისმგებელი :

14.5.1. ანგარიშდან თანხის გატანასა და გადარიცხვებზე და სხვა ტრანზაქციებზე, რომლებისთვისაც გამოიყენება კლიენტის Paysera ელექტრონული ფულის ანგარიშზე არსებული თანხები, თუ კლიენტი არ იცავს თავის პაროლსა და სხვა გადახდის ინსტრუმენტებს, რის შედეგადაც ისინი ცნობილი ხდება სხვა პირებისთვის, ასევე მესამე პირების უკანონო ქმედებებზე და გარიგებებზე, რომლებიც შესრულებულია ყალბი ან/და უკანონო დოკუმენტების ან უკანონოდ მიღებული მონაცემების გამოყენებით;

14.5.2. ბანკების, ბილინგის სისტემების და სხვა მესამე მხარის მიერ დაშვებული შეცდომებზე და დაგვიანებულ ან გამოტოვებულ ტრანზაქციებზე;

14.5.3. შედეგები, რომლებიც წარმოიქმნება მესამე მხარის მიერ Paysera-ს წინაშე ნებისმიერი ვალდებულების დარღვევის გამო, , რომელიც Paysera-ს კონტროლს მიღმაა;

14.5.4. შედეგები, რომლებიც წარმოიქმნება მას შემდეგ, რაც Paysera ლეგალურად შეწყვეტს ხელშეკრულებას, გააუქმებს მომხმარებლის პროფილს ან შეზღუდავს მასზე წვდომას, ასევე მომსახურების ნაწილის გონივრული შეზღუდვის ან შეწყვეტის შემდეგ;

14.5.5. Paysera ელექტრონული ფულის ანგარიშის გამოყენებით საქონლისა და მომსახურების შეძენა, ასევე მეორე მხარისთვის, რომელიც ხელშკერულების პირობების დარღვევით მიიღებს Paysera ელექტრონული ფულის ანგარიშიდან გადარიცხულ თანხას;

14.5.6. საკუთარი სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის და ზარალის ანაზღაურებისთვის, თუ ეს გამოწვეული იყო კანონით განსაზღვრული Paysera-ს მოვალეობების შესრულების გამო.

14.6. კლიენტი ირწმუნება, რომ მისი ყველა ქმედება, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან, შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

14.7. კლიენტი სრულად არის პასუხისმგებელი Paysera-ში წარდგენილი მონაცემების, დავალებებისა და დოკუმენტების სისწორეზე.

14.8. თუ Paysera-სთვის ცნობილი გახდება არაავტორიზირებული ტრანზაქციის შესახებ, Paysera-მ უნდა დაუბრუნოს არავტორიზირებული ტრანზაქციის თანხები კლიენტს, საჭიროების შემთხვევაში აღადგინოს ბალანსი ანგარიშზე, რომელზეც მოხდა თანხის განთავსება არავტორიზირებული ტრანზაქციის განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევეისა როდესაც Paysera-ს აქვს თაღლითური ქმედებების საფუძველი ეჭვი და აცნობებს ამის შესახებ ზედამხედველობის ორგანოს.

14.9. თუ მომხმარებელი (User) უარყოფს ავტორიზებული გადახდის ოპერაციის ავტორიზაციას ან აცხადებს, რომ გადახდის ოპერაცია არასწორად შესრულდა, Paysera ვალდებულია დაამტკიცოს, რომ გადახდის ოპერაცია ავთენტურია, ის სწორად დარეგისტრირდა და ჩაწერილია ანგარიშებში და რომ მას არ შეხებია რაიმე ტექნიკური ან სხვა სახის ხარვეზი.

14.10. მომხმარებელს (User) შესაძლოა დაეკისროს ყველა ზარალი, რომელიც წარმოიქმნება 50 (ორმოცდაათ) ევრომდე ოდენობის არაავტორიზებული გადარიცხვის გამო, თუ აღნიშნული ზარალი დაკავშირებული იქნება: დაკარგული ან მოპარული საგადახდო ინსტრუმენტების გამოყენებასთან ან საგადახდო ინსტრუმენტების უკანონო მითვისებასთან.

14.11.თუ კლიენტი არ არის მომხმარებელი (User) ან გადარიცხვა შესრულებულია წევრი ქვეყნის ვალუტიდან უცხო ქვეყნის ვალუტაში ან პირიქით, კლიენტი კისრულობს 14.10 მუხლში გათვალისწინებული მიზეზების გამო წარმოქმნილ ყველა ზარალს.

14,12. კლიენტს ეკისრება ნებისმიერი ზარალი, რომელიც წარმოიქმნება არაავტორიზებული გადახდის ოპერაციების გამო, თუ კლიენტმა განიცადა ზარალი, ქვემოთ მითითებული ერთი ან რამდენიმე მოვალეობის არაკეთილსინდისიერად მოქმედების ან მისი უხეში დაუდევრობის ან განზრახი ქმედების გამო:

14.12.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ან მის დანართებში გათვალისწინებული გადახდის ინსტრუმენტის გაცემისა და გამოყენების მარეგულირებელი წესების დაცვა, გადახდის ინსტრუმენტის გამოყენებისას;

14.12.2. თუ კლიენტი შეიტყობს გადახდის ინსტრუმენტის დაკარგვის, ქურდობის, უკანონო მითვისების/შეძენის ან არასანქცირებული გამოყენების შესახებ; შეიტყობს ფაქტებისა და ეჭვის შესახებ, რომ მისი გადახდის ინსტრუმენტების პერსონალიზებული უსაფრთხოების მახასიათებლები ცნობილი გახდა ან შეიძლება გამოყენებულ იქნას მესამე პირების მიერ, კლიენტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობებს Paysera-ს (ან Paysera-ს მიერ დასახელებულ სუბიექტს) აღნიშნულის შესახებ. , წინამდებარე ხელშეკრულებითა და მისი დანამატებით გათვალისწინებული გადახდის ინსტრუმენტის გაცემისა და გამოყენების მარეგულირებელი წესების შესაბამისად;

14.12.3. გადახდის ინსტრუმენტის გაცემის შემდეგ მიიღოს ყველა შესაძლო ზომა გადახდის ინსტრუმენტის პერსონალიზებული უსაფრთხოების მონაცემების დასაცავად.

14.13. მას შემდეგ რაც კლიენტი წარადგენს შეტყობინებას, როგორც ეს მითითებულია 13.5. მუხლში, საგადახდო ინსტრუმენტების დაბლოკვასთან დაკავშირებით, Paysera აიღებს კლიენტის ზარალს, რომელიც გამოწვეულია დაკარგული, მოპარული ან უკანონოდ შეძენილი გადახდის ინსტრუმენტის გამო, გარდა კლიენტის არაკეთილსინდისიერების შემთხვევებისა. აღნიშნული პუნქტის დებულებები გამოიყენება მხოლოდ მომხმარებლისთვის (User).

14.14. იმ შემთხვევაში, თუ Paysera არ უზრუნველყოფს დაუყოვნებლივ შეტყობინების შესაძლებლობას დაკარგული, მოპარული ან უკანონოდ მითვისებული გადახდის ინსტრუმენტის შესახებ, ასევე იმ შემთხვევებში, როდესაც Paysera არ საჭიროებს უფრო უსაფრთხო ავთენტიფიკაციას, Paysera იღებს ზარალის ანაღაურების პასუხისმგებლობას ინსტრუმენტის არასანქცირებული გამოყენების გამო, გარდა კლიენტის არაკეთილსინდისიერების შემთხვევებისა. აღნიშნული პუნქტის დებულებები გამოიყენება მხოლოდ მომხმარებლისთვის (User).

14.15. კლიენტმა უნდა შეამოწმოს ინფორმაცია ანგარიშზე შესრულებული გადახდის ოპერაციების შესახებ თვეში ერთხელ მაინც და აცნობოს Paysera-ს არაავტორიზებული ან არასწორად შესრულებული გადახდის ოპერაციების, ასევე ნებისმიერი სხვა შეცდომის, შეუსაბამობის ან უზუსტობის შესახებ განცხადებაში. შეტყობინება უნდა წარედგინოს არაუგვიანეს 60 (სამოცი) კალენდარული დღისა იმ დღიდან, როდესაც Paysera-მ, კლიენტის თქმით, შეასრულა არაავტორიზებული გადარიცხვა ან არასწორად შეასრულა გადახდის ოპერაცია. მომხმარებელი (User) წერილობით აცნობებს Paysera-ს წევრი ქვეყნის ვალუტაში არაავტორიზებული ან არასწორად შესრულებული გადარიცხვის შესახებ ევროკავშირის ქვეყანაში არაუგვიანეს 13 (ცამეტი) თვისა, საგადახდო ანგარიშიდან თანხის ჩარიცხვის დღიდან. თუ კლიენტი მითითებულ ვადაში არ წარადგენს აღნიშნულ შეტყობინებებს, ითვლება, რომ კლიენტი უპირობოდ დათანხმდა საგადახდო ოპერაციებს, რომლებიც შესრულდა გადახდის ანგარიშზე. კლიენტმა უნდა წარუდგინოს Paysera-ს ნებისმიერ ინფორმაცია პროფილში უკანონო შესვლის ან ანგარიშთან დაკავშირებული სხვა უკანონო ქმედებების შესახებ და მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რომელიც მითითებულია Paysera-ს მიერ, რათა დაეხმაროს უკანონო ქმედებების გამოძიებაში.

14.16. მხარე თავისუფლდება ხელშეკრულების შეუსრულებლობის პასუხისმგებლობისგან იმ შემთხვევაში, თუ მხარე დაამტკიცებს, რომ ხელშეკრულება არ გაფორმდა კანონით დადგენილი წესით დადასტურებული ფორსმაჟორული გარემოებების გამო. კლიენტი წერილობით ატყობინებს Paysera-ს ფორსმაჟორის შესახებ ასეთი გარემოებების დადგომიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში. Paysera აცნობებს კლიენტს ფორსმაჟორული გარემოებების შესახებ ელექტრონული ფოსტით ან სისტემის ვებსაიტების მეშვეობით.

15. კლიენტსა და Paysera-ს შორის დავების გადაწყვეტა, საჩივრების წარდგენის პროცედურა

15.1. კლიენტს შეუძლია წარადგინოს ნებისმიერი პრეტენზია ან საჩივარი Paysera-ს მიერ მიწოდებულ საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებით შეტყობინების ელ.ფოსტით გაგზავნით, კლიენტთა მხარდამჭერის სამსახურთან დაკავშირებით ან საკუთარი პროფილიდან შეტყობინების გაგზავნით.

15.2. კლიენტს შეუძლია წარადგინოს ნებისმიერი პრეტენზია ან საჩივარი Paysera-ს მიერ მიწოდებულ საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებით შეტყობინების ელ.ფოსტით გაგზავნით, კლიენტთა მხარდამჭერის სამსახურთან დაკავშირებით ან საკუთარი პროფილიდან შეტყობინების გაგზავნით.

15.3. საჩივარში უნდა იყოს მითითებული ის გარემოებები და დოკუმენტები, რის საფუძველზეც არის წარდგენილი პრეტენზია. თუ კლიენტი პრეტენზიაში ეყრდნობა დოკუმენტებს, რომლებიც Paysera-ს არ გააჩნია, ასეთი დოკუმენტები ან მათი ასლები ასევე უნდა იყოს წარმოდგენილი საჩივრის წარდგენისას.

15.4. Paysera განიხილავს კლიენტის წერილობით პრეტენზიას/საჩივარს მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღისა და მიაწვდის კლიენტს დეტალურ, მოტივირებულ, დოკუმენტებით დასაბუთებულ პასუხს. გამონაკლის შემთხვევებში, Paysera-მ შესაძლოა ვერ შეძლოს პასუხის გაცემა 15 სამუშაო დღეში, Paysera-ს კონტროლს მიღმა მიზეზებისდა გამო. Paysera კლიენტს მიაწვდის არასაბოლოო პასუხს, სადაც ნათლად არის მითითებული საჩივარზე პასუხის დაგვიანების მიზეზები და საბოლოო პასუხის გაგზავნის ვადა. საბოლოო პასუხის გაცემის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 35 (ოცდათხუთმეტ) სამუშაო დღეს. პასუხი კლიენტს მიეწოდება ხელშეკრულების 10.1 პუნქტში მითითებული საშუალებებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი საჩივარში/პრეტენზიაში ითხოვს პასუხის გაცემას სხვა საშუალებებით.

15.5. Paysera-ს მიერ კლიენტის პრეტენზიების განხილვა უფასოა.

15.6. თუ კლიენტი არ არის კმაყოფილი Paysera-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, კლიენტს უფლება აქვს გამოიყენოს სხვა სამართლებრივი საშუალებები თავისი უფლებების დასაცავად და :

15.6.1. წარუდგინოს პრეტენზია ზედამხედველ ორგანოს ზედამხედველი ორგანოს მიერ დადგენილი წესით;

15.6.2. დაიცვას თავისი, როგორც მომხმარებლის ინტერესები, ზედამხედველ ორგანოსთან, როგორც სასამართლოს გარეთ სამომხმარებლო დავების განმხილველ დაწესებულებასთან, ამავე ორგანოს მიერ დადგენილი წესით მიმართვის გზით.

15.6.3. თუ დავა ვერ გადაწყდება მეგობრულად ან დავის გადაწყვეტის სხვა არასასამართლო მეთოდებით, დავას წყვეტენ სასამართლოები კანონით დადგენილი წესით Paysera-ს რეგისტრირებული ოფისის ადგილმდებარეობის მიხედვით.

15.7. კლიენტის პრეტენზიების (საჩივრების) წარდგენისა და განხილვის დეტალური პროცედურა მოცემულია კლიენტის პრეტენზიების (სარჩელების) წარდგენისა და დამუშავების წესებში.

15.8. აღნიშნული ხელშეკრულება, მისი დანართები, ისევე როგორც მხარეთა ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება მხარეთა შეთანხმებით, ექვემდებარება იმ ქვეყნის კანონმდებლობას, სადაც მდებარეობს Paysera-ს ლიცენზირებული კომპანია, რომელმაც დაარეგისტრირა კლიენტი, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, როდესაც დავა Paysera-სა და კლიენტს შორის სხვა ქვეყნის იურისდიქციაშია.

16. დასკვნითი დებულებები

16.1. თითოეული მხარე ადასტურებს, რომ ფლობს მოქმედი კანონმდებლობით მოთხოვნილ ყველა ნებართვას და ლიცენზიას, რომელიც აუცილებელია წინამდებარე ხელშეკრულების შესასრულებლად.

16.2. ხელშეკრულების მუხლებისა და პუნქტების სათაურები განკუთვნილია მხოლოდ მხარეთა მოხერხებულობისთვის და არ შეიძლება გამოყენებულ იქნას წინამდებარე ხელშეკრულების დებულებების ინტერპრეტაციისთვის.

16.3. მხარეები დამოუკიდებლად არიან პასუხისმგებელნი სახელმწიფოსა და სხვა სუბიექტების წინაშე ყველა საგადასახადო ვალდებულების შესრულებაზე. Paysera არ არის პასუხისმგებელი კლიენტის საგადასახადო ვალდებულებების შესრულებაზე, კლიენტზე მოქმედი გადასახადების გაანგარიშებაზე და გადარიცხვაზე.

16.4. Paysera ყველა შემთხვევაში მოქმედებს როგორც ხელშეკრულების დამოუკიდებელი მხარე, რომელიც არ აკონტროლებს ან არ იღებს პასუხისმგებლობას იმ პროდუქტებსა და მომსახურებებზე, რომლებიც გადახდილია Paysera-ს მომსახურების გამოყენებით. Paysera არ იღებს პასუხისმგებლობას, რომ მყიდველი, გამყიდველი ან სხვა მხარე შეასრულებს კლიენტთან დადებულ გარიგების პირობებს.

16.5. კლიენტს არ აქვს უფლება გადასცეს აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავისი უფლებები და მოვალეობები მესამე პირებს, Paysera-ს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. Paysera იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს გადასცეს აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავისი უფლებები და მოვალეობები მესამე პირებს კლიენტის თანხმობის გარეშე, თუ უფლებებისა და მოვალეობების ასეთი გადაცემა არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

16.6. ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილად ცნობის შემთხვევაში, ხელშეკრულების სხვა დებულებები ძალაში რჩება.

16.7. ხელშეკრულება ძალაში შედის წინამდებარე ხელშეკრულების 2.4 პუნქტის შესაბამისად. კლიენტს შეუძლია შეინახოს ხელშეკრულების ტექსტი სისტემაში რეგისტრაციისას.

16.8. აღნიშნული ხელშეკრულება სისტემაში ხელმისაწვდომია რამდენიმე ენაზე. კლიენტთან ხელშეკრულება იდება იმ ენაზე, რომელზე იგი ხელშეკრულებას გაეცნო სისტემაში რეგისტრაციის დროს.

16.9. ხელშეკრულებაში მოცემული ვებ გვერდების ბმულები და ცალკეული მომსახურების გაწევის მარეგულირებელი დანართები წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია და ვრცელდება კლიენტზე შესაბამისი მომსახურებით სარგებლობის დაწყების მომენტიდან.

იურიდიული დეტალები: “Paysera LT”, UAB, იურიდიული დაწესებულების კოდი: 300060819; ელექტრონული ფულის დაწესებულების ლიცენზია No1, გაცემული 2012 წლის 27 სექტემბერს (გაცემული ლიეტუვას ბანკის მიერ). მონაცემები „Paysera LT“, UAB-ის შესახებ გროვდება და ინახება ლიეტუვას რესპუბლიკის იურიდიულ პირთა რეესტრში. დეტალური მონაცემები Paysera-ს კორპორაციული ჯგუფის შესახებ, მათ შორის კორპორაციული ოფისის მისამართები და ელ.ფოსტის მისამართები, მოცემულია აქ. “Paysera LT”, UAB-ის ზედამხედველი ორგანოა ლიეტუვას ბანკი, საიდენტიფიკაციო კოდი: 188607684, მისამართი: Žirmūnų g. 151, LT-09128, ვილნიუსი, ლიეტუვა, www.lb.lt/en.

იურიდიული დეტალები: Paysera Kosova SH.P.K., იურიდიული დაწესებულების კოდი: 811301473; არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტი ელექტრონული ფულის გამოცემის ლიცენზიით No. IFJB/069, გაცემული კოსოვოს ცენტრალური ბანკის მიერ 2021 წლის 8 ივნისს. მონაცემები Paysera Kosova SH.P.K.-ის შესახებ გროვდება და ინახება კოსოვოს ბიზნესის რეგისტრაციის სააგენტოში. დეტალური მონაცემები Paysera Kosova-ს შესახებ, მათ შორის კორპორაციული ოფისის მისამართი და ელექტრონული ფოსტის მისამართები, მოცემულია აქ. Paysera Kosova SH.P.K-ის ზედამხედველი ორგანო არის კოსოვოს ცენტრალური ბანკი, საიდენტიფიკაციო კოდი: 600104187, მისამართი: Rr. გარიბალდი 33, პრიშტინა, 10000, კოსოვოს რესპუბლიკა, https://bqk-kos.org/ .

იურიდიული დეტალები: Paysera Albania SH.P.K., იურიდიული დაწესებულების კოდი: M01608007N; ელექტრონული ფულის დაწესებულების ლიცენზია No47, გაცემულია ალბანეთის ბანკის მიერ 2021 წლის 5 მარტს. მონაცემები Paysera Albania SH.P.K. გროვდება და ინახება ალბანეთის რესპუბლიკის იურიდიულ პირთა რეესტრში. დეტალურად მონაცემები Paysera Albania SH.P.K.-ის შესახებ, მათ შორის კორპორაციული ოფისის მისამართი და ელ.ფოსტის მისამართები, მოცემულია აქ. . Paysera Albania SH.P.K-ის ზედამხედველი ორგანო არის ალბანეთის ბანკი, მისამართი: Sheshi “Skënderbej“ No. 1, Tirana, Albania, www.bankofalbania.org .

საგადახდო მომსახურების გენერალური ხელშეკრულება ფიზიკური პირებისთვის (ვადაგასული ვერსია, მოქმედი იყო 16/09/2019 -მდე)

საგადახდო მომსახურების გენერალური ხელშეკრულება ფიზიკური პირებისთვის (მოქმედია 01.10.2021 -მდე)

საგადახდო მომსახურების გენერალური ხელშეკრულება ფიზიკური პირებისთვის (მოქმედია 07.03.2022 -მდე)